ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 29 იანვარი 2005 №18 (2341) ფასი 50 თეთრი

## ახალი კოდექსის ჰედლაინები

ვისთვის არის კარგი, რაც ცუდია ყველასთვის: ბუქმეიკერისთვის, ხალხისთვის, ბიუჯეტისთვის?

4



## მდიდრებმა უკვე იტირეს

ფილიპო ინძაგი ისევ საოპერაციოა

6



## მანდილები გარეთ დატოვეთ

საქართველოში ქალებიც იჭიდავებენ

13

# ჰაჯიმე!

## დღეს თბილისში ტატამი გაიშლება




ბადრი კეთილაძის ფოტო

# COME ON!



REUTERS მელბურნიდან

ქუჩაში არ გამოსულან და ზეიმი არ გაუმართავთ, მაგრამ გუშინ კორტზე მისული მელბურნელები ტაშისკვრით კი დაიღალნენ. ავსტრალიის ღია პირველობას ავსტრალიელი ფინალისტი ჰყავს, პირველად ბოლო 17 წელიწადში. ლეიტონ ჰიუიტისა და ენდი როდიკის ჩოგნაობა ისეთი ფიცხელი ვერ გამოდგა, როგორც ფედერერ — საფინის ჯახი, მაგრამ, სამაგიეროდ, კაცთა გუშინდელი ნახევარფინალი ისე დასრულდა, როგორც მთელი კონტინენტი ისურვებდა. პირველი სეტის დათმობის შემდეგ მასპინძელთა ჯილა ჰიუიტმა ჯერ ორი ტაიბრეიკიანი სეტი აართვა ამერიკელ მეტოქეს, მეოთხეში კი სულ მოუთავა ხელი.

მაშ, ავსტრალიელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალშია და იქ რუს მარატ საფინთან ეცდება, სამშობლოს 1976 წლის შემდეგ პირველად მოუპოვოს ეს ტიტული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრიდან ცხრა, ფრაიბურგის ხსნა

## ლევან ცქიტიშვილი: მგლებთან მგლები ვიქნებით

*ბუნდესლიგის აუტსაიდერმა „ფრაიბურგმა“ მეორე წრის პირველი მატჩი როსტოკში, „ჰანზასთან“ ფრედ რომ ითამაშა, ლევან ცქიტიშვილი ტრავმირებულ ფეხს მკურნალობდა. „ფრაიბურგის“ ქართველი ნახევარმცველი წინა კვირას ვარჯიშზე დაშავდა და იძულებით დასვენებამ მოუწია.*

*ცქიტიშვილი სერიოზულ ტრავმას გადაურჩა, ის უკვე სამი დღეა, გუნდთან ერთად მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და ხვალინდელი, „ვოლფსბურგთან“ მატჩისთვის ემზადება. „ვოლფსბურგი“ ის გუნდია, რომელმაც ჩემპიონატი მძლავრად დაიწყო, „ფრაიბურგს“ კი შინიდან სამი ქულა გაატანა. სტუმრად ჩვენების გუნდმა ერთადერთი მატჩი სწორედ „მგლებს“ მოუგო*



— როგორ ფიქრობ, „ფრაიბურგს“ რეალურად აქვს ამის ძალა?

— „ფრაიბურგის“ დონის გუნდისთვის ამდენი ქულის დაგროვება თითქოს სასწაულია, მაგრამ ბუნდესლიგაში ყოფილა შემთხვევები, როცა აუტსაიდერებს ერთ წრეში 34 ქულაც კი მოუგროვებიათ და ჩემპიონატი ცხრილის შუაში დაუმთავრებიათ. ასე რომ, „ფრაიბურგს“ უკვე განწირულად ნუ ჩათვლით, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— შეგიძლია თქვა, რომ „ფრაიბურგს“ ახლა უკეთესი შემადგენლობა ჰყავს, ვიდრე პირველ წრეში?

— რა ვიცი, ჟურნალისტები და სპეციალისტები „ჰანზასთან“ მატჩის შემდეგ ამბობენ, „ფრაიბურგი“ ახლა უფრო ძლიერად გამოიყურებაო... „ვოლფსბურგთან“ თამაში კი ჩვენთვის ისეთი მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გამოჩნდება, მომავალში რისი მაქნისები ვიქნებით.

— **ხიზანეიშვილზე რას ამბობენ?**

— „ჰანზასთან“ ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მიაჩნიათ, რომ „ფრაიბურგმა“ ხიზანეიშვილის სახით სერიოზული ძალა შეიმატა და მას ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. ოთარი უკვე ითვლება „ფრაიბურგის“ დაცვის ლიდერად, მან თავისი კონკურენტი დიარა სკამზეც კი დასვა.

— „ვოლფსბურგი“ სტუმრად თუ დავამარცხეთ, ვფიქრობ, ფრაიბურგში მოგების უფრო რეალური შანსი გვაქვს. მეტოქემ სეზონი კარგად კი დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა ძალა გამოელია და ერთ დროს ლიდერიც თუ იყო, ახლა ბუნდესლიგაში მეოთხეა — გვითხრა ლევან ცქიტიშვილმა.

— **„ჰანზასთან“ სტუმრად ფრე „ფრაიბურგისთვის“ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ალბათ მნიშვნელოვანი იყო.**

— რა თქმა უნდა, კარგია, რომ მეორე წრის პირველ მატჩში სტუმრად არ წავაგეთ. ბუნდესლიგის შესვენებამდე კი ასევე სტუმრად, „შალკესთან“ ფრედ ვითამაშეთ და, ბუნებრივია, გუნდის საერთო განწყობა გაცილებით უკეთესია. ახლა უფრო იმედიანად ვართ, საკუთარი შესაძლებლობები ვირწმუნეთ და „ვოლფსბურგთან“ მატჩამდე მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. წლეულს ისეა ჩვენი საქმე, რომ შინ თამაში არ უნდა წავაგოთ. მეორე წრეში ფრაიბურგში [illegible]ა მატჩი გვაქვს.

— და ყველა უნდა მოიგოთ?

— ეს ურთულესი საქმე კი არის, მაგრამ შესაძლებელია. თუ ვერ მოვიგებთ, არც უნდა წავაგოთ. მეორე წრეში 25-28 ქულა „ფრაიბურგისთვის“ ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად საკმარისი იქნება.

— **„ვოლფსბურგთან“ შენ თუ ითამაშებ?**

— ვითამაშებ, თუ მწვრთნელმა მათამაშა. ყოველ შემთხვევაში, ტრავმა უკვე მოვიშუშე და რამდენიმე დღეა, გაორმაგებული დატვირთვით ვვარჯიშობ. ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ, დანარჩენი უკვე მწვრთნელის საქმეა.

**ქობა ინასარიძე**

### ინგლისი

| პირველი ლიგა. XXXI ტური |
|---|
| ბრისტოლი 2:3 ჩესტერფილდი |
| **მეორე ლიგა. XXX ტური** |
| ჩელტენემი 2:3 გრიმსბი |

### საფრანგეთი

| II დივიზიონი. XXIV ტური |
|---|
| ანჟე 2:0 ლორიანი |
| ბრესტი 1:0 კრეტეი |
| შატორუ 1:0 ამიენი |
| ლე ავრი 0:1 ლე მანი |
| სედანი 2:0 კლერმონი |
| გრენობლი — რეიმსი გადაიდო |

### გერმანია

| II ბუნდესლიგა. XIX ტური |
|---|
| კიოლნი 8:1 ბურგჰაუზენი |
| მიუნხენი 1:0 აუე |
| ესენი 2:2 ტრირი |

### ამხანაგური მატჩი

| |
|---|
| იორდანია 0:0 ნორვეგია |

### ჰოლანდია

| I დივიზიონი. XIX ტური |
|---|
| როდა 4:0 ტილბურგი |
| **II დივიზიონი. XIX ტური** |
| აპელდორნი 2:0 სიტარდი |
| ვეენდამი 1:1 იგლსი |
| კამბური 3:0 ვოლენდამი |
| ეინდჰოვენი 3:0 ექსელსიორი |
| მაასტრიხტი 1:0 ჰაარლემი |
| სპარტა 3:1 ჰელმონდი |
| ტელსტარი 2:2 ჰერაკლესი |
| ზვოლე 5:2 ემენი |

### თურქეთი

| სუპერლიგა. XVIII ტური |
|---|
| ძონია 0:2 გალათასარაი |

### იტალია

| სერია B. XXIII ტური |
|---|
| ემპოლი 1:0 ვერონა |
| სალერნიტანა 1:1 ტერნანა |

საფეხბურთო კლუბი
თბილისის „დინამო“
სამძიმარს უცხადებს
გივი და ლევან ნოდიებს
დედის
როზა ბარაბაძე-ნოდიას
გარდაცვალების გამო

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80



ზურაბ იონანიძემ (მარჯვნივ) „ზესტაფონისთვის“ გატანა დაიწყო

# პრეზიდენტის სტუმრობა და 1:2

**ანთალიურ** შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა — ხორვატიის ჩემპიონ სპლიტის „ჰაიდუკთან“ 1:2 დამარცხდა.

თემურ მახარაძის გუნდმა დაცვითი ვარიანტი აირჩია და „ჰაიდუკის“ დიდი უპირატესობა ოდენ ორ გოლში აისახა. მატჩის მიწურულს კი ზურაბ იონანიძემ 11-მეტრიანით გაქვითა ერთი ბურთი.

„ზესტაფონის“ სასტარტო თერთმეტეული ასეთი იყო: ქვაჩახია, ძამსაშვილი, ღონღაძე, შავგულიძე, კ. ჩხეტიანი, განუგრავა, ზ. ჩხეტიანი, კვერნაძე, გუჩუა, ნუდნი, იონანიძე.

შეგახსენებთ, რომ პირველ ანთალიურ მატჩში ზესტაფონელებმა აზერბაიჯანულ „ყარაბახს“ 3:2 მოუგეს. გუშინდელი მატჩის წინ კი „ზესტაფონს“ ანთალიაში კლუბის პრეზიდენტმა ილია კოკაიამ ჩააკითხა — „ჰაიდუკთან“ 1:2 ვინძლო მის ფეხბედნიერობასაც მოასწავებდეს.

# მათე ბიჭი

# გამოწვევამ გაახარა

## აშვეთიამ ესპანეთში საქართველო დაინახა



**მოსკოვის** „ლოკომოტივი“ რომ 18 წლის ქართველ ახალწვეულ მათე ღვინიანიძეს იმედით უყურებს, იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთის ჩემპიონთა თავკაცმა იური სიომინმა მათე ესპანურ შეკრებაზე წაიყვანა და საქებარი სიტყვებიც არ დააკლო: „წესით, ღვინიანიძემ დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ტექნიკაც აქვს, სიხისტეც და ასაკის კვალობაზე საკმაოდ თავდაჯერებულიცაა“ — ამბობს სიომინი.

მათემ ჟურნალისტებთან საუბარში გახარებულმა თქვა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებით სერიოზული გამოწვევა მივიღე და ჩემი ძალა ახლა უნდა დავამტკიცოო. „როდესაც „ლოკომოტივის“ ძირითად გუნდში ამიყვანეს, ცოტა შემეშინდა, ეგებ დიდ დატვირთვებს ვერ გავუძლომეთქი. თუმც თავი არ ჩამიქინდრავს, ძალიან მოვინდომე და მგონი, გუნდთან შეწყობა არ გამჭირვებია. თანაც, ხუთი თვე „ლოკომოტივის“ დუბლებში ვთამაშობდი და ეს კლუბი შემიყვარდა“.

კიდევ ერთი ქართველი ლოკომოტიველი მიხეილ აშვეთია კი, როგორც იცით, სრულად გამოჯანმრთელდა და, ალბათ, სიომინი უახლოეს დღეებში დაგეგმილ ესპანურ ტესტ-მატჩში ათამაშებს. აშვეთიამ რუს მასმედიელებს გაუმხილა, ესპანეთი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ქვეყანაა — აქაური ლამაზი ბუნება მშობლიურ საქართველოს მაგონებსო.

**ილია ნანობაშვილი**

# მსაჯი — ცეცხლთან მოთამაშე

## ნერვები თუ მოითმენს, ჩემპიონატიც მოიგებს

*მსაჯობა ისეთი რამ არის, მთელ მსოფლიოში რომ იწვევს პრობლემებს. თან პრობლემებს არა მხოლოდ გუნდებისთვის, არამედ ქომაგებისთვის და თავად მსაჯებისთვისაც. ყოველთვის არც მსაჯია დამნაშავე, არც ფეხბურთელი და არც მაყურებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამნაშავე ხან მსაჯია, ხან ფეხბურთელი და ხან მაყურებელი, მაგრამ არის ამ ყველაფრის კიდევ ერთი გრადაცია — ეროვნული. იმის თქმა გვინდა, რომ მთელი მსოფლიოსთვის, საყოველთაო სირთულეების გარდა, არსებობს ადგილობრივი მიზეზებით გამოწვეული სირთულეები და, ვფიქრობთ, მათი გამოცალკევება აუცილებლად დაგვჭირდება.*



ევრო 2000-ის ჰოლანდია — ჩეხეთის ჯგუფური მატჩი ბევრს კარგად ეხსომება. ბოლო წუთი იყო, 0:0-ზე პიერლუიჯი კოლინამ აღმოსავლეთევროპელების კარში საეჭვო პენალტი რომ დანიშნა. „ნარინჯისფერებმა“ 11-მეტრიანი გოლად აქციეს და მოიგეს, ხოლო ჩეხებს ევროფორუმიდან აზარგებამ მოუწიათ. ჩეხთა მაშინდელი თავკაცი იოზეფ ხოვანეცი ლამის შეიშალა, ორი წლის ნაჯაფარი ვიღაც უცხოპლანეტელმა კოლინამ ერთი უპრაგონო დასტვენით წყალში გადაგვიყარაო.

ეს მატჩი ისე, მაგალითად მოვიყვანეთ, თორემ ვინ მოთვლის, რამდენი მწვრთნელი თუ ფეხბურთელი დამდურებია მსაჯს. საქართველოში ხომ... შორს რომ არ წავიდეთ, შარშანდელი „ოქროს მატჩი“ გავიხსენოთ, გულშემატკივრები მსაჯებს წიხლით რომ შესდგნენ და ეროვნული სტადიონი ლამის ბრიუსელის ცნობილ „ეიზელად“ გადააქციეს.

საქართველოს ჩემპიონატში არბიტრების ლანძღვა ლამის წესად იქცა. კი, რა თქმა უნდა, მსაჯიც ცდება და ძალიან ხშირადაც, მაგრამ ეს ჩასაფრება რა უბედურებაა?! საკმარისია, თემიდის მსახურს ერთი ჯარიმა გამოეპაროს მოედნის ცენტრში და უკვე მოსყიდულად აცხადებენ. მერე იწყება გინებების კასკადი მარჯვნიდან, მარცხნიდან...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ყველამ მშვენივრად იცის, რომ საქართველოში მსაჯობა ცეცხლთან თამაშია. ბევრის აზრით, მიმდინარე სეზონში თემიდელთა შეცდომებმა და, შესაბამისად, სკანდალებმაც იკლო, მაგრამ პრობლემები, იცოცხლეთ, იმდენია...

ვნახოთ, რას ფიქრობს მსაჯების პრობლემებზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო.

— ბევრმა გულშემატკივარმა, მწვრთნელმა თუ კლუბის ხელმძღვანელმა არც კი იცის, რომ ფიფა დროდადრო ცვლის თამაშის წესებს. კარგი იქნებოდა, ქართულ კლუბებს ჰყავდეთ ქომაგთა კლუბები, რომლებსაც ავუხსნიდით მსაჯობის წესებს და ამდენ უსაფუძვლო ბრალდებასა თუ ლანძღვა-გინებას აღარ მოვისმენდით. საქართველოში არბიტრები ხშირად ცდებიან და ამ სეზონშიც რამდენიმე მათგანს საყვედური მივეცით, მაგრამ უცხოეთში, გრანდების მატჩებზეც კი, არბიტრები ზოგჯერ ისეთ ლაფსუსებს უშვებენ, ჩვენების შეცდომა მონაგონია. ყველა უნდა მიხვდეს, რომ მსაჯიც ადამიანია და არა კომპიუტერი. მან წამებში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ადამიანი იმისთვის დაიბადა, რომ ზოგჯერ შეცდეს. ბექემი დიდი ფეხბურთელია, მაგრამ პენალტის დარტყმისას ფეხი დაუცდა“.

მილჩენკოს აზრი გასაგებია: მსაჯების შეცდომებს ხალხი გაგებით უნდა მოეკიდოს და ნერვებს არ უნდა აჰყვეს. ბატონი ანატოლი ამბობს, ყველაფერს ვაკეთებ, რათა ამგვარი შეცდომები მინიმუმამდე შემცირდეს. „ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან პირველად სწორედ ჩვენთან ჩამოყალიბდა მსაჯთა აკადემია. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, არბიტრების შერჩევაში არ შევცდეთ. ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისგან მოვითხოვთ ნერვების მოთოკვას, მაგრამ ეს ეხებათ მსაჯებსაც. ანუ თემიდელიც ინტელექტუალური პიროვნება უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმი, მახვილი თვალი და ფიზიკური მომზადება არ უნდა ღალატობდეს“.

მოგეხსენებათ, ერთხანს ფეხბურთის სამყაროში აქტიური კამათი იყო მატჩებისას ვიდეოკონტროლის დანერგვაზე, რომელიც მსაჯებს საეჭვო სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა. „ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა არაერთხელ თქვა, რომ ვიდეოკონტროლი ფეხბურთში გაუმართლებელია. პირადად მეც ამ აზრისა ვარ. აბა, წარმოიდგინეთ, ყოველი საეჭვო სიტუაციისას თამაში გაჩერდეს — ეს ხომ ფეხბურთს დინამიკას დაუკარგავს, ემოციებს წაართმევს და მატჩი 90 კი არა, 120 წუთზე მეტხანს გაგრძელდება. ეგებ ვცდები, მაგრამ პატარა შეცდომები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია და უხდება კიდეც ამ თამაშს“ — ამბობს მილჩენკო.

საქართველოში მსაჯებზე [illegible] გამოწვევას ჩვენი უფრო ღრმა [illegible] [illegible] შევცდებით: ნერვები, უფრო სწორად, ნევროზი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას თავს დაატყდა. კაცს, რომელსაც ოჯახი დასაპურებელი ჰყავს და დღიდან დღემდე ძლივს გააქვს თავი, ზომიერი ხასიათი ვერანაირად ვერ ექნება. და ამ უსაქმოდ ყოფნაში მიდის სტადიონზე და თავის ბოღმას ან ფეხბურთელების, ანაც უფრო ხშირად მსაჯების ლანძღვა-გინებით იკლავს. მგონი, სამწუხარო რეალობა ასეთია და ქართველი მსაჯები რომ რისხვას ვერ აუდიან, ალბათ მეტწილად ეკონომიკური გაჭირვების ბრალიცაა...

**ილია ნანობაშვილი**

**ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ნამსაჯი მატჩების რაოდენობა**

*9 — ავთანდილ ორდინიძე, ლევან ფანიაშვილი, ალექსანდრე კრიჭაშვილი*

*8 — ავთანდილ შალამბერიძე, მერაბ მალალურაძე, ალექსანდრე შილაკაძე, ალექსანდრე მეშკოვი*

*6 — მალხაზ მაისურაძე, ზურაბ ანიაშვილი*

*4 — დავით სანაია*

*3 — ლაშა სილაგავა*

*2 — ლევან კვარაცხელია, გიორგი ვადაჭკორია, პაატა დოგრაშვილი, ჯუმბერ ბუიშვილი, გიორგი კიკაჩეიშვილი*

*1 — გურამ ასკაროლლი, იოსებ კახიანი*

# ალექსანდრეს ალექსანდრმა დაუძახა

## წადი, ალეკო, ხარკოვში



ალეკო ამისულაშვილს „მეტალისტში“ ელიან

**კიევის „დინამოს“** მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი სეზონს, ალბათ, ხარკოვის „მეტალისტში“ ჩაამთავრებს. ყოველ შემთხვევაში, ხარკოველთა მწვრთნელს ალექსანდრ ზავაროვს მისი გადაბირება სურს და არც კიეველები არიან ჩვენიანის განათხოვრების წინააღმდეგი. ეს საკითხი დღესხვალ საბოლოოდ უნდა გაირკვეს. თუმცა, საქმეს ის ართულებს, რომ „დინამო“ ამისულაშვილის განათხოვრების სანაცვლოდ კომპენსაციას ითხოვს, რის გადახდაზეც „მეტალისტი“ უარს ამბობს.

— ვითამაშებ თუ არა ხარკოვში, ეს კლუბების პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ გადაწყდება. „დინამო“ „მეტალისტისგან“ ფულს ითხოვს, ხარკოველებს კი სხვა წინადადება აქვთ. ვნახოთ, პრეზიდენტები რას იტყვიან. იგორ სურკისმა ძალიან ბევრი თუ არ მოითხოვა, ვფიქრობ, მეტალისტი“ ჩემ სანაცვლოდ მინიმალურ თანხას მაინც გადაიხდის — გვითხრა გუშინ ალეკო ამისულაშვილმა — „დინამოს“ მწვრთნელ იოჟეფ საბოს უკვე ვესაუბრე და ის თანახმაა, რომ სეზონის ბოლომდე „მეტალისტში“ ვითამაშო. საბოს ჩემი გაყიდვა არ სურს, მითხრა, შენთვის აუცილებელია სათამაშო პრაქტიკა, რასაც ხარკოვში მიიღებ, ზაფხულიდან კი ისევ ჩვენთან იქნებიო. კარგად მესმის, რომ „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა ახლა ჩამოყალიბებულ-შეთამაშებულია და საბო აწყობილი მექანიზმის დაშლას ერიდება. აქედან გამომდინარე, „დინამოს“ ძირითადში წლეულს ჩემი ადგილი არ იქნება და „მეტალისტში“ წასვლა მიჯობს. ხარკოველთა მწვრთნელ ალექსანდრ ზავაროვი უკონტრაქტო ფეხბურთელებს ერიდება, თუმც მან თქვა, ამისულაშვილის შემთხვევაში გამონაკლისს დავუშვებ, თანახმა ვარ, ამისულაშვილმა „მეტალისტში“ სეზონის ბოლომდე ითამაშოსო. თითქმის ყოველდღე ხარკოველთა თავდამსხმელს ლაშა ჯაკობიას ველაპარაკები, მეუბნება, ზავაროვს ძალიან სჭირდებიო. „მეტალისტში“ თამაშზე უარს არც თავად ვამბობ, მაგრამ პრობლემა რაც არის, უკვე გითხარი.

ალეკო ამისულაშვილის გარდა, უკრაინული პრესის ინფორმაციით, „მეტალისტის“ თავკაცი კიდევ სამი ქართველით არის დაინტერესებული. ზავაროვი თავის გუნდში გოჩა ჯამარაულს, ოლეგ გველესიანსა და რომან ახალკაცს უხმობს, მაგრამ მათგან რომელი შერჩება, ჯერ უცნობია.

ამისულაშვილი კი სხვა ქართველების „მეტალისტში“ შესაძლო ტრანსფერზე ამბობს:

— ზავაროვმა მითხრა, რომ ამ ფეხბურთელების გადაბირებაც სურს, მაგრამ რა გამოუვა, არ იცის. მგონი, „მეტალისტს“ მათთან დღესდღეობით მოლაპარაკება აქვს და ტრანსფერები გამოვა თუ არა, ხარკოველთა პირობებზეა დამოკიდებული. ისე კი, „მეტალისტს“ ფინანსურად არ უნდა უჭირდეს. გუნდი ახლახან ორად გაიყო. ზავაროვთან, მართლია, ძველი „მეტალისტიდან“ სულ სამ-ოთხი ფეხბურთელი დარჩა, მაგრამ ამ გუნდს სერიოზული კომპანია პატრონობს და მთლად უამბიციოდ არ უნდა იყოს.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ალეკო ამისულაშვილი კიევის „დინამოში“ წინა ზაფხულში გადავიდა, თუმც უკრაინის ჩემპიონატის პირველმა წრემ ისე ჩაიარა, ჩემპიონატში არ უთამაშია. ალეკოს „დინამოსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

**კობა ინასარიძე**

## თქვენი ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

**«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია**



მოგვმართეთ. ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

*ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის“ მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს“ შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის“ საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 10-დან 18-საათამდე, მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.*

# ახალი კოდექსის ჰედლაინები

*ზოგადად ასეა: როცა კანონი მასობრივ უკმაყოფილებას იწვევს, ესე იგი, მთლად დახვეწილი არ არის და კანონის დამწერი და დამმტკიცებელი ჩასწორებისთვის მზად უნდა იყვნენ.*

*ახალი საგადასახადო კოდექსის იმ მუხლებზე მოგახსენებთ, სათამაშო ბიზნესს, კერძოდ კი საბუქმეიკერო საქმიანობას რომ არეგულირებს.*

*„სარბიელში“ ამ პრობლემაზე რამდენიმე სტატია დაიწერა. ჩვენი მკითხველების დიდი ნაწილი საბუქმეიკერო კანტორების მოთამაშეც არის და ამდენად, თავს ვალდებულად ვთვლით, ახალი კანონის ავკარგიანობაზე, რომელიც მოთამაშეებს — სპორტული გაზეთის მკითხველებსაც უშუალოდ ეხებათ, მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ.*

*კოდექსის ჩვენთვის საინტერესო მუხლები უშუალო ზეგავლენას ახდენს ბუქმეიკერებზე, მათ თანამშრომლებზე, მოთამაშეებსა და ბიუჯეტზე. თუ კოდექსის მუხლები, მარტივად რომ ვთქვათ, კარგია, მაშინ დაინტერესებულ მხარეთაგან ყველასთვის თუ არა, უმრავლესობისთვის მისაღები უნდა იყოს. აქ გაუგებარი არაფერია. მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, როცა ვიღებთ კოდექსს, რომელიც აბსოლუტურად ყველასთვის წამგებიანია, თვით ბიუჯეტის ჩათვლით. ქვემოთ ამ მოსაზრების დასაბუთებას შევეცდებით.*

### რისკის საფასური

თავდაპირველად, მოდით, განვმარტოთ, რა არის საბუქმეიკერო კანტორა და რა განსხვავებაა მასსა და ტოტალიზატორს შორის. ამგვარი განმარტება აუცილებელია, რადგან დაწესებულებები, რომლებსაც ტოტალიზატორებს ვუწოდებთ, თავისი არსით საბუქმეიკერო კანტორებია.

მთავარი განსხვავება ის არის, რომ ტოტალიზატორს საპრიზო ფონდი აქვს და მოგების ოდენობა მთლიანად შესული თანხის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ვთქვათ, ტოტალიზატორში 100 ლარი შევიდა. ფირმა ამ ფულის რაღაც პროცენტს თავისთვის იტოვებს, ვთქვათ, 20 ლარს. მოგებულებს კი დარჩენილ 80 ლარს პროპორციულად უნაწილებს. ერთი სიტყვით, ტოტალიზატორი ყოველთვის მოგებულია, მოთამაშემ კი წინასწარ არ იცის, რამდენს მოიგებს.

ბუქმეიკერი კი წინასწარ აქვეყნებს კოეფიციენტებს, რის გამოც გასაცემი მოგების რაოდენობა მთლიანად დადებული ფსონების ოდენობაზე დამოკიდებული არ არის. ანუ ბუქმეიკერი რისკავს — შესაძლოა, იმაზე მეტი მოგება ჰქონდეს გასაცემი, ვიდრე ფსონის სახით დაიდო.

### გადაიხადე მეტი, ვიდრე გაქვს!

ბუქმეიკერთა საქმიანობაში ჩახედულმა პირმა იცის, რომ ნებისმიერ საბუქმეიკერო კანტორაში კოეფიციენტები იმგვარად არის დაწერილი, რომ სავარაუდო მოგებად მთლიანი ბრუნვის 8-10 პროცენტი დარჩეს. ვინც პროცენტის გამოთვლის წესი არ იცის, კონკრეტული მაგალითით განვუმარტავთ: ვთქვათ, ავიღოთ წინა ორშაბათს ჩატარებული „ჩარლტონი“ — „ბოლტონის“ მატჩი. მას ასეთი კოეფიციენტები ჰქონდა: 2,2 — 3,2 — 3,1. მასპინძელი გუნდის მოგებაზე მოთამაშემ 100 ლარი რომ მოიგოს, ფსონში 45,4 ლარს უნდა ჩავიდეს. ფრეზე რომ მოიგოს 100 ლარი, 31,2 ლარს უნდა ჩავიდეს, სტუმრის მოგებაზე კი — 32,1 ლარს. ჯამში 108,8 ლარი გამოდის. ანუ ორგანიზაცია 108,8 ლარს მიიღებს და 100 ლარს გასცემს. მოგება 8,8 ლარი, ანუ 8,8 პროცენტია. ოღონდ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს სავარაუდო მოგებაა, თორემ ხანდახან ორგანიზაციას ამაზე მეტი მოგება რჩება, ზოგჯერ კი ამაზე მეტ თანხას აგებს. მაგრამ, მოდით, აღნიშნული პროცენტი ბუქმეიკერის საშუალო მოგებად მივიჩნიოთ.

ახლა კი ვნახოთ, რა წერია კოდექსში. იქ წერია, რომ ბუქმეიკერმა ბრუნვის 20 პროცენტი დღგ-ს სახით ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს. გამოდის: მოგება ბრუნვის 8-10 პროცენტია, გადასახადი კი 20 პროცენტი. არ გვგონია, ძნელი მისახვედრი იყოს, რომ თუ ბუქმეიკერს შესული 100 ლარიდან 10 ლარი რჩება, ის 20 ლარს ბიუჯეტში ვერ გადაიხდის, მაგრამ... კოდექსის მიხედვით ეს ელემენტარული არითმეტიკული გაანგარიშება არც ისე ელემენტარული ყოფილა.

### ეს ჯადოსნური „და სხვა“

საქმე მხოლოდ ისიც არ არის, რომ 20-პროცენტიანი დღგ არარეალურად დიდი გადასახადია, პრობლემა ამ კუთხითაც უნდა დაისვას: საერთოდ რატომ იბეგრება ბუქმეიკერი დღგ-თი.

ბუქმეიკერს ეუბნებიან, რომ მისი საქმიანობა მომსახურების სფეროს განეკუთვნება, რაც დღგ-თი დაბეგვრას ითვალისწინებს.



ახალ კოდექსს მოთამაშეები საბუქმეიკერო კანტორებიდან ქუჩაში გამოჰყავს

კოდექსის სათანადო მუხლში კი ჩამოწერილია იმ საქმიანობათა დასახელება, რომლებიც მომსახურებას განეკუთვნება და, შესაბამისად, დღგ-თი დაბეგვრას ექვემდებარება. საკმაოდ მოზრდილი ჩამონათვალია, მაგრამ მასში სათამაშო ბიზნესი ნახსენები არ არის. ანუ კოდექსში პირდაპირ არსად წერია, რომ ბუქმეიკერის საქმიანობა მომსახურებაა. მაშინ რატომ გახდა ეს საკითხი ასეთი პრობლემატური?

კოდექსში საქმიანობათა ჩამონათვალს ბოლოში მიწერილი აქვს: „და სხვა მომსახურება.“

როცა ბუქმეიკერი ამბობს, რომ მისი საქმიანობა ჩამონათვალში ნახსენები არ არის, მას პასუხობენ, „და სხვა მომსახურებაში“ იგულისხმებითო.

რატომღაც გვგონია, რომ კოდექსში ყველაფერი აბსოლუტურად ნათლად უნდა იყოს ჩაწერილი და ჩინოვნიკებმა ეს ყოვლად აბსტრაქტული „და სხვა მომსახურება“ პირადი ინტერპრეტაციით არ უნდა გაშიფრონ. მაგრამ, სამწუხაროდ, კოდექსის დამწერებს და დამმტკიცებლებს ამაზე სხვა მოსაზრება აქვთ, თორემ ასეთ ფორმულირებას კოდექსში არ ჩაწერდნენ.

კარგი, ვთქვათ რომ „და სხვა მომსახურებაში“ ჩვენთვის საინტერესო სფეროც იგულისხმება. მაშინ კითხვას ასე დავსვამთ: განეკუთვნება თუ არა ბუქმეიკერის საქმიანობა მომსახურების სფეროს. ხომ წერია — და სხვა მომსახურებაო. ესე იგი, საბუქმეიკერო კანტორა მომსახურების სფეროს ობიექტი უნდა იყოს.

ელემენტარული მაგალითი მოვიყვანოთ: არასდროს დანიძლავებიხართ ვინმეს, ვთქვათ, „მეხუთე ელემენტში“ კევინ კოსტნერი თამაშობს თუ ბრიუს უილისი? ჰოდა, ვის შეუძლია თქვას, რომ თქვენ მეორე მონიძლავეს მომსახურება გაუწიეთ? ან იმან გაგიწიათ თქვენ მომსახურება? საერთოდ გაუგებარია, რა შუაშია მომსახურება, როცა ორი კაცი ერთმანეთს რაღაცაზე ენიძლავება? და რა განსხვავებაა კოსტნერზე და უილისზე დანიძლავდებით თუ იმაზე, „ჩარლტონი“ მოიგებს თუ „ბოლტონი“? არსი ხომ ამით არ იცვლება — საქმე ჩვეულებრივ ნიძლავთან გვაქვს, ბუქმეიკერი მოთამაშეს ენიძლავება.

ან ასე ვთქვათ, თუ ნიძლავი ფულზე კი არა, მაგალითად, სახინკლეში დაპატიჟებაზე იდება, რა უნდა დაიბეგროს — ხინკალი?

მაგრამ კოდექსის ჩინოვნიკური ინტერპრეტაცია გვეუბნება, რომ ნიძლავი მომსახურება ყოფილა.

კარგი, დავუშვათ, ამ გაუგებარ მოსაზრებას მაინც დავეთანხმეთ. ახლა ერთიც ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა, რომ მომსახურების საფასური უარყოფითი რაოდენობა იყოს? განვმარტოთ: ვთქვათ, შედიხართ საპარიკმახეროში, წვერს იპარსავთ და დალაქს გაპარსვის ანუ მომსახურების საფასურს უხდით. აქ ყველაფერი გასაგებია. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ შედიხართ საპარიკმახეროში, იპარსავთ წვერს და დალაქი... აქეთ გიხდით ფულს. ხომ წარმოუდგენელია?! ანუ რისი თქმა გვინდა: მომსახურების გამწევმა მომსახურების საფასური აუცილებლად უნდა მიიღოს, და თუ იქით გასცა, ეს მომსახურება არანაირი ლოგიკით არ გამოდის.

ახლა ბუქმეიკერის მაგალითზე გავარჩიოთ. მოთამაშე ჩადის, ვთქვათ, 100 ლარს რომელიღაც გუნდის მოგებაზე. ის გუნდი მართლა იგებს, რის მერეც ბუქმეიკერი მოთამაშეს იმ 100 ლარსაც უბრუნებს და თავისი ჯიბიდან კიდევ განსაზღვრულ თანხას უმატებს. ერთი სიტყვით, ბუქმეიკერი წაგებულია. მაგრამ თუ ბუქმეიკერმა მომსახურება გასწია, როგორ შეიძლება მომსახურების საფასური იქით გასცეს?

კოდექსი კი მაინც ჯიუტად ამბობს, რომ ფსონში ჩადებული ის 100 ლარი ბუქმეიკერისთვის მომსახურების საფასურია და 20 პროცენტით უნდა დაიბეგროს. ანუ ბუქმეიკერი უბრუნებს კლიენტს 100 ლარს, ზედ მოგებას უმატებს, ზარალობს და მისთვის ამ წამგებიანი ოპერაციის მერე 20 ლარსაც ბიუჯეტში რიცხავს. რა გამოდის, ჩვენს ქვეყანაში ზარალიც იბეგრება? ეს აშკარად რევოლუციური სიახლეა.

საბოლოოდ კი, რომ შევაჯამებთ, გამოდის: ბუქმეიკერს დაუწესდა გადასახადი, რომელიც მას არანაირი საღი ლოგიკით არ უნდა ეკისრებოდეს და ამ გადასახადის საპროცენტო განაკვეთი ბევრად აღემატება ბუქმეიკერის სავარაუდო მოგებას. დასკვნა კი თავისთავად გამომდინარეობს —ახალი კოდექსი ბუქმეიკერისთვის დამღუპველია.

### ხალხი ქუჩაში ანუ თავში ქვა გიხლიათ

ვინმეს დაუთვლია, რამდენი საბუქმეიკერო კანტორაა საქართველოში, მათ ნაწილს რამდენი ფილიალი აქვს და თითოეულ ოფისში რამდენი ადამიანი მუშაობს? არ ვიცით. თუ კი ვიცით, რომ ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა დაახლოებით 10 ათასი უნდა იყოს.

თუ კოდექსი, მოდური ტერმინით რომ ვთქვათ, ბუქმეიკერებს „ჩაძირავს“, ეს ხალხი უმუშევარი რჩება. 10 ათასი ადამიანის ზურგს უკან კი ამდენივე ოჯახი დგას.

რას ნიშნავს უმუშევრობა, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ერთს კი დავძენთ: ამ ადამიანების დასაქმებაში სახელმწიფოს იოტისოდენა წვლილიც არ მიუძღვის, სამაგიეროდ, ახალი კოდექსით იოლად იმეტებს საარსებო წყაროს გარეშე დასარჩენად.

### დავბეგროთ ყველაფერი

კიდევ ერთი კატეგორია ხალხისა, რომელთაც ეს კოდექსი ეხებათ, მოთამაშეები არიან, რომლებიც შემოსავლის 12-პროცენტიანი გადასახადით უნდა დაიბეგრონ.

ერთი შეხედვით, ყველაფერი სწორადაა, მოქალაქე საშემოსავლო გადასახადს უნდა იხდიდეს. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში არც მთლად ეგრეა საქმე. პრობლემა ის არის, თუ რა იგულისხმება შემოსავალში.

თუ თქვენ ფსონში 100 ლარს ჩახვედით, ნიძლავი მოიგეთ და ბუქმეიკერმა 150 ლარი მოგცათ, თქვენი შემოსავალი 50 ლარია. 100 ლარი კი ის თანხაა, რომლითაც გარისკეთ და მოგების მისაღებად დააბანდეთ. არ გვგონია, აქაც რამე იყოს გაუგებარი და საკამათო. მაგრამ, როგორც აქამდე გამოთქმულ ლოგიკურ და გასაგებ მოსაზრებებს, კოდექსი ამასაც გაუგებარს და აუხსნელს ხდის. კოდექსი გვეუბნება, რომ მოგების გადასახადი არა 50 ლარიდან, არამედ 150 ლარიდან უნდა გადაიხადოთ. ნუთუ იმის გაგებას, რომ ჩემი მოგება 50 ლარია, დანარჩენი 100 ლარი კი ის თანხაა, რომელიც მე იქამდეც მქონდა, რაღაც განსაკუთრებული ახსნა სჭირდება?

ფინანსთა სამინისტროში კი ამბობენ, რომ დასაბეგრი თანხა 50 ლარი უნდა იყოს და არა 150 ლარი, მაგრამ ერთია სიტყვიერი განცხადება და მეორეა კოდექსში შავით თეთრზე დაწერილი მოთხოვნა. როგორ მოვიქცეთ? სამინისტროს განცხადებით ვიხელმძღვანელოთ? საგადასახადო ინსპექტორი რომ მოვა და კოდექსს გადაგიშლის, შენ კიდევ თავს იმართლებ, სამინისტროში ეგრე თქვესო, ხომ იცით, რა პასუხსაც მიიღებთ?! კოდექსით იხელმძღვანელებ და, კოდექსის დამწერი თავად გეუბნება, ეგრე არ არისო... ეგებ, ხელისუფლებამ თავად გვირჩიოს, როგორ მოვიქცეთ?

### მოდი, გავათეთროთ ფული

ჩნდება ეჭვი, რომ კოდექსის ეს მუხლი შავი ფულის გასათეთრებლად არის მოგონილი, ყოველ შემთხვევაში, ამის შესაძლებლობას იძლევა.

კოდექსით ბუქმეიკერი ვალდებულია, თითოეული მოთამაშის ვინაობა ჩაიწეროს და 12-პროცენტიანი გადასახადის ქვითართან ერთად სახელმწიფო ორგანოში წარადგინოს.

რა შეიძლება მოხდეს: მავანი ჩინოვნიკი იღებს, ვთქვათ, 20 ათას ლარს ქრთამად, რომელსაც ვერსად გამოაჩენს. მიდის ბუქმეიკერთან და გარიგებას სთავაზობს, ვითომ ეს 20 ათასი მოიგო. თუ ბუქმეიკერი

ცდუნდა, მექრთამე ჩინოვნიკი ბიუჯეტის სასარგებლოდ იხდის 12 პროცენტს, რაღაც თანხას ბუქმეიკერსაც აძლევს და იღებს საბუთს, რომ ის 20 ათასი სრულიად კანონიერი გზით აქვს ნაშოვნი.

### 1000 ლარი 1 წამში

კაზუსები სხვაც ბევრია. შემოსავლის 12 პროცენტი ბუქმეიკერმა თავად უნდა გამოუქვითოს მოთამაშეს და ბიუჯეტში გადარიცხოს, მაგრამ ვნახოთ, როგორი ფორმულირება აქვს ამ წესს კოდექსში: იქ წერია, რომ ბუქმეიკერმა ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მოგების გაცემისთანავე უნდა მოახდინოს.

მოდით, გავარჩიოთ, რას გამოიწვევს ამგვარი ფორმულირება. ბუქმეიკერმა გასცა მოგება, რის მერეც, იმავ წამს მიდის საგადასახადო ინსპექტორი და ითხოვს, ბიუჯეტთან ანგარიში გასწორებული რომ გაქვთ, საბუთი მაჩვენეთო. ნუთუ დიდი მიხვედრა უნდა, რომ მოგების გაცემისთანავე ბუქმეიკერი ბიუჯეტში ფულს ვერ გადარიცხავს, ამას ცოტა დრო ხომ სჭირდება, თუნდაც რამდენიმე საათი, რომ ბუღალტერმა ეს ფული აიღოს და სადაც საჭიროა, წაიღოს. მაგრამ მოხელეს ზურგს კოდექსი უმაგრებს, სადაც წერია: „მოგების გაცემისთანავე“. მორჩა და გათავდა — მოგების გაცემიდან ერთ წამში ფული ბიუჯეტში არ არის, გადაიხადეთ ჯარიმა 1000 ლარი!

კოდექსის ამგვარი ფორმულირებით, ბუქმეიკერმა კანონი რომ არ დაარღვიოს, ასე უნდა მოიქცეს: მოგების მისაღებად მისულ მოთამაშეს ხელი უნდა მოჰკიდოს, საგადასახადო ინსპექციაში წაიყვანოს, იქ ერთი ხელით მოთამაშეს მოგება მისცეს, მეორე ხელით კი (წამით დაყოვნებაც არ შეიძლება!) ინსპექტორს გადარიცხვის ქვითარი მიაწოდოს.

როგორ წარმოუდგენიათ კოდექსის დამწერებს, ეს რეალურად როგორ უნდა განხორციელდეს?

კარგი, ვთქვათ, გვითხრეს, რომ ეს ტექსტის გაუმართაობის ბრალია და „გაცემისთანავე“ პირდაპირ არ უნდა გავიგოთო, მაგრამ სხვა, უფრო მნიშვნელოვან პრობლემასთანაც გვაქვს საქმე.

### სადაც იაფია

როგორ იქცევით, როცა ორი აბსოლუტურად ერთნაირი პროდუქტი ორ სხვადასხვა ადგილას განსხვავებული ფასი ღირს? ცხადია, ყიდულობთ იქ, სადაც უფრო იაფია.

მაშინ ვიკითხოთ: რატომ ჩავა ფსონს მოთამაშე იმ ბუქმეიკერთან, რომელიც შემოსავალს 12 პროცენტით დაუბეგრავს, როცა არსებობენ ბუქმეიკერები, რომელთანაც არანაირი გადასახადი დაწესებული არ არის? პასუხი აქაც ნათელია. და სად შეიძლება დაუბეგრავად თამაში? ვთქვათ, ინგლისში, ინტერნეტის საშუალებით.

ვინმე იტყვის, რომ ინტერნეტით მოთამაშეთა რაოდენობა საქართველოში იმდენად უმნიშვნელოა, რომ საერთო სურათზე გავლენას ვერ მოახდენს.

დავიწყოთ იმით, რომ არავის დაუთვლია, მოთამაშეთა რა პროცენტი სარგებლობს ინტერნეტით. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ინტერნეტით თამაშისას მოთამაშე მოგებას სრულად მიიღებს (ფსონში ჩადებული თანხის დაბეგვრაც არავის მოუვა აზრად), თავად ინტერნეტი კი დღეს ყველასთვის ხელმისაწვდომია და მისი საშუალებით თამაშიც უაღრესად მარტივია, ვინ დაასაბუთებს, რომ მოთამაშეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ ხერხს არ მიმართავს?!

კონტრკითხვით მოგვმართავენ: თქვენ რითღა დაასაბუთებთ, რომ ხალხი ინტერნეტთამაშზე გადაერთვებაო. ჩვენი არგუმენტი ზემოთ მოგახსენეთ: ადამიანი ორი ვარიანტიდან, ჩვეულებრივ, ირჩევს იმას, რომელიც მისთვის ფინანსურად უფრო მომგებიანია. ხოლო თუ ამის დამტკიცებასაც მოგვთხოვენ...

### გაუმარჯოს კრიმინალს!

არის მეორე ვარიანტიც, მოთამაშეები ეგრეთ წოდებულ „ხელის მაზზე“ გადაერთვებიან. ეს ნიშნავს, რომ ნიძლავს ბუქმეიკერს კი არ დაუდებენ, ერთმანეთში დანიძლავდებიან. ამგვარი რამ საქართველოში ახლაც ხდება, მაგრამ შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ ამან თუ მასობრივი ფორმა მიიღო, კარგს არავის არაფერს მოუტანს.

საბუქმეიკერო კანტორის გარეთ დანიძლავების საფრთხე ის არის, რომ მონიძლავეები ისეთ თანხებზე დებენ ნიძლავს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მათ არ გააჩნიათ. ვთქვათ, ადამიანი დარწმუნებულია, რომ რომელიღაც გუნდი მოიგებს და დიდ თანხაზე ნიძლავდება. მაგრამ გუნდმა წააგო, კაცს ფული აქვს გადასახდელი — ის ფული, რომელიც მას არ გააჩნია. ან სახლი უნდა გაყიდოს, ან მოიპაროს და თუ ვერც ერთს იზამს და ვერც მეორეს, თანხის მომგები განსაკუთრებულ ზომებს მიმართავს. საქმე ქურდულ გარჩევამდე მიდის და კარგით არაფრით მთავრდება. ეს რომ ასეა, ამის მოწმე თავად თუ არ ხართ, სადმე გაგონილი მაინც გექნებათ. ამ დროს კი, ბუქმეიკერთან მოთამაშე იმაზე მეტს ვერაფრით წააგებს, რა თანხაც იმ მომენტში ჯიბეში უდევს. შესაბამისად, კრიმინალური გარჩევები და ოჯახური დრამები გამორიცხულია.

ჰოდა, ვიკითხოთ, რატომ უბიძგებს კოდექსი მოთამაშეს კრიმინალისკენ?

### და ბიუჯეტი?

თუ ახალი კოდექსი გამაკოტრებელია ბუქმეიკერისთვის, ხოლო ის ფული, რომელიც საბუქმეიკერო კანტორის გავლით ბიუჯეტში შედიოდა, ან უცხოეთში გაედინება ან კრიმინალურ ჯიბეებში წავა, ბიუჯეტს რაღა დარჩება? ანუ წაგებულია ბიუჯეტიც.

და თუ კოდექსი ცუდია, ბუქმეიკერისთვის, ცუდია, მისი თანამშრომლისთვის, ცუდია მოთამაშისთვის, ცუდია ბიუჯეტისთვის, ბატონო კანონმდებლებო, ეგებ მის გადასინჯვაზეც გეფიქრათ.

### ჭეშმარიტება სადღაც იქაა

ამ ბიზნესის სამშობლო ინგლისია, სადაც ბუქმეიკერობას 120-წლიანი იტორია და ტრადიცია აქვს. ამ 120 წლის მანძილზე ინგლისელებმა სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის ათასგვარი ხერხი მოსინჯეს და საბოლოოდ დაასკვნეს, რომ სასურველ ეფექტს მხოლოდ ფიქსირებული გადასახადი იძლევა. ეგებ ამაზე ფიქრი ღირდეს. ამით ყველა კმაყოფილი იქნება და ბიუჯეტშიც ამ ბიზნესიდან იმაზე მეტი ფული შევა, აქამდე რომ შედიოდა.

**გიორგი დარჯანია**

# ბელამი ნიუკასლის აუქციონზე

## შერისხულ უელსელს ნორვიჩში იადონს ა[illegible]

**პრემიერლიგის** კლუბებმა დაატყვეს, კრეიგ ბელამის „ნიუკასლში“ საქმეები ცუდად მისდისო და თავიანთ საჭიროებათა ერთგვარი მოგვარება გადაწყვიტეს.



ყველამ იგრძნო, რომ უელსელის კონფლიქტი მენეჯერ გრემ სუნესთან მხოლოდ დროებით ჩაწყნარდა.

„ნორვიჩის“ მენეჯერმა ნაიჯელ უორზინგტონმა ღიად შესთავაზა ბელამის, ქირავნობა გავაფორმოთ, ჩვენთან ითამაშეთო. ეს ლიტონი სიტყვა არ არის. მთლად პირტიტველა კრეიგი ოდესღაც ძალიან დაეხმარა მძიმე დღეში მყოფ „ნორვიჩს“ და იქაურებს კარგადაც ახსოვთ მისი იადონის ფორმაში თამაში. ბელამი იქ ძალიან უყვართ.

„ნიუკასლის ფეხბურთელად დარჩება, ჩვენთან კი ითამაშებს. ამასობაში, ისინი შესაფერ ტრანსფერსაც შეარჩევენ — თქვა უორზინგტონმა — „მის ყიდვას კი ნამდვილად ვერ შევძლებთ“.

უელსელის ქირაობის ინტერესი „პორტსმუთის“ თავმჯდომარეს, მილან მანდარიჩსაც გაუჩნდა, ბელამის თანამემამულე მარკ „სპარკი“ ჰიუზი კი მას „ბლექბერნისკენ“ ექაჩება.

თუმცა, ეს ამბები ორშაბათამდე, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე უნდა გაირკვეს. ისე კი, ნაკლებსავარაუდოა, რომ ფრედი შეპარდმა ბელამი „ნიუკასლიდან“ გაუშვას. ფეხბურთელი უკვე შერისხეს და ორი კვირის ხელფასიც ჩამოაჭრეს. წასვლის სურვილი არც უელსელს გამოუთქვამს.

ბელამიმ კარიერა ზემოთაც ვთქვით, „ნორვიჩში“ დაიწყო და იქ ოთხი სეზონი გაატარა (34 გოლი 91 თამაშში), 2000 წელს „ქოვენთრიმ“ იყიდა, იქიდან კი „ნიუკასლში“ ამოჰყო თავი და გუნდის ერთ-ერთ ვარსკვლავად იქცა სერ ბობი რობსონის ხელში.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ანელკა ოსმალეთში გაყიდეს



**„მანჩესტერ სიტიმ“** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თანახმაა თურქული „ფენერბაჩეს“ შეთავაზებაზე და 7 მილიონ გირვინქად მიჰყიდის თავის ფრანგ თავდამსხმელ ნიკოლას ანელკას.

25 წლის ანელკა ახლა პირადი კონტრაქტის საკითხებს განიხილავს თურქებთან.

ანელკას ახალი წლის შემდეგ აღარ უთამაშია „სიტიში“, რადგან საზარდულის ტრავმა აწუხებდა. მანჩესტერულ კლუბში ის მესამე წელიწადია იმყოფება და ამ ხნის მანძილზე 45 გოლი გაიტანა.

2002 წელს „სიტიმ“ 13 მილიონი გირვანქა გადაუხადა „პარი სენ ჟერმენს“, რათა ფრანგი მეგოლე თავის რიგებში ჰყოლოდა.

ჰოდა, ჰყავდა და უკვე ჰყიდის.

**ირაკლი გამყრელიძე**

# სილა სახეში

## ვან გალენის კრივობა ძვირია, ძვირი



**„ალკმაარის“** ნახევარმცველი ბარი ვან გალენი მეტოქის ცემისთვის ეგებ გრძელვადიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. გამორიცხული არ არის, მან ადგილი ჰოლანდიის ნაკრებშიც დაკარგოს.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ სათქმელზე გადავალთ: ვან გალენი „ალკმაარ“ — „ფეიენოორდის“ სათასო მატჩში 24-ე წუთზე გააძევეს, რადგან სტუმართა შევდ ალექსანდერ ოსტლუნდს სახეში სილა მთელი ძალით გააწნა, თუმც მანამდე იგი ოსტლუნდმა წააქცია.

„მსგავსი საქციელი პროფესიონალ ფეხბურთელს არ ეკადრება — განაცხადა „ალკმაარის“ მწვრთნელმა კო ადრიანსემ — შესაძლოა, მეტოქეზე გაბრაზდა, მაგრამ ასეთი შურისძიება რა ჯანდაბაა. ოსტლუნდის ცემით მან მხოლოდ „ალკმაარის“ საქმე არ წაახდინა, ვფიქრობ, უკვე მისი ნაკრებში გამოძახებაც საეჭვოა“.

ბარი ვან გალენი, რომელიც მარკო ვან ბასტენმა ინგლის-ჰოლანდიის ამხანაგური მატჩისთვის იხმო, ჩადენილს არ ნანობს: „ვიცი, რომ ჩემს გუნდს ვუღალატე. ეს მოხდა და ახლა ველარაფერს შევცვლი. გაკვირვებული კი იმით ვარ, რომ წითელი ბარათი რატომღაც მარტო მე დავიმსახურე, არადა, მსაჯმა მანამდე კარგად დაინახა, ოსტლუნდი როგორაც მეუხეშა“. 34 წლის ნახევარმცველი ზოგადად აგრესიულ ფეხბურთელადაა ცნობილი.

„ალკმაარში“ კო ადრიანსეს მისვლის დღიდან ვან გალენმა ემოციები შედარებით მოთოკა, მაგრამ ჰოლანდიელთა შორის ყველაზე მხცოვანი დებიუტანტი ფეხბურთელი გახდა, რადგან 34 წლისამ ნაკრებში პირველად ითამაშა.

სათასო მატჩი კი „ფეიენოორდმა“ მოიგო, რაკი ვან გალენის შემდეგ „ალკმაარს“ დანიელი კენეტ პერესიც გუძევეს ხელით თამაშისთვის და ცხრაკაცა მასპინძლები წააგებდნენ აბა, რა იქნებოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იტალია

ვაჟა ხუციშვილი

# მდიდრებმა უკვე იტირეს

## უიღბლო ინძაგი ისევ საოპერაციოა

| XXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კიევო | : | ლივორნო |
| პარმა | : | უდინეზე |
| **ხვალ** | | |
| მილანი | : | ბოლონია |
| კალიარი | : | ფიორენტინა |
| პალერმო | : | ინტერი |
| ატალანტა | : | იუვენტუსი |
| რეჯინა | : | ლაციო |
| ბრეშა | : | ლეჩე |
| რომა | : | მესინა |
| სამპდორია | : | სიენა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 20 | 14 | 5 | 1 | 36:11 | 47 |
| მილანი | 20 | 12 | 6 | 2 | 35:13 | 42 |
| უდინეზე | 20 | 10 | 4 | 6 | 28:20 | 34 |
| ინტერი | 20 | 6 | 14 | 0 | 39:27 | 32 |
| სამპდორია | 20 | 9 | 4 | 7 | 21:16 | 31 |
| რომა | 20 | 8 | 6 | 6 | 37:30 | 30 |
| პალერმო | 20 | 7 | 8 | 5 | 19:13 | 29 |
| რეჯინა | 20 | 7 | 6 | 7 | 18:20 | 27 |
| მესინა | 20 | 7 | 6 | 7 | 24:29 | 27 |
| ლივორნო | 20 | 7 | 5 | 8 | 24:27 | 26 |
| კალიარი | 20 | 7 | 5 | 8 | 27:33 | 26 |
| ლეჩე | 20 | 6 | 7 | 7 | 36:38 | 25 |
| ბოლონია | 20 | 6 | 6 | 8 | 20:20 | 24 |
| ლაციო | 20 | 6 | 5 | 9 | 27:31 | 23 |
| ფიორენტინა | 20 | 5 | 8 | 7 | 20:24 | 23 |
| კიევო | 20 | 5 | 7 | 8 | 19:29 | 22 |
| პარმა | 20 | 4 | 7 | 9 | 20:32 | 19 |
| ბრეშა | 20 | 5 | 4 | 11 | 15:27 | 19 |
| სიენა | 20 | 3 | 9 | 8 | 15:27 | 18 |
| ატალანტა | 20 | 1 | 8 | 11 | 14:27 | 11 |



ფილიპო ინძაგი
გაურკვეველი ვადით დაშავდა

**ტური** იმ გუნდების შეხვედრით იწყება, რომლებმაც ერთი კვირის წინ მდიდრები ატირეს — ვერონაში „კიევო“ „ლივორნოს“ უმასპინძლებს. ალბათ გეხსომებათ, „მფრინავმა ვირებმა“ მილანის „ინტერს“ სტუმრად ქულა აართვეს, ხოლო „ლივორნომ“ შინ კარლო ანჩელოტის ჩემპიონ „მილანს“ მოუგო.

„კიევომ“ ნახევარდაცვის გასაძლიერებლად ამ კვირაში „პერუჯადან“ მასიმილიანო ფუზანი გადაიყვანა. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული მარკო მალაგო და ტრავმირებული ფედერიკო კოსატო დააკლდებათ, რობერტო დონადონის „ლივორნოში“ კი ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზეა.

ცხრილის ქვედა ოთხეულში მოკალათებული „პარმა“ მესამეადგილოსან „უდინეზეს“ დაუხვდება. პარმელი ფაბიო სიმპლისიო დასჯილია და შეხვედრას გამოტოვებს. მის ნაცვლად შუახაზში ბოლანო ან ბუდელი ითამაშებს.

ბერგამოში ჩასულ ლიდერ „იუვენტუსს“ დაშავებული პაველ ნედვედი ვერ დაეხმარება. ძამბროტას, ემერსონისა და პესოტოს თამაშიც საეჭვოა, რადგან ისინიც მკურნალობენ. მანუელე ბლაზი დისკვალიფიცირებულია და მის ადგილს სავარაუდოდ, ალესიო ტაკინარდი დაიკავებს. ალბათ ძირითადში კვლავ არ იქნება ალესანდრო დელ პიერო, რაც იმას ნიშნავს, რომ „იუვე“ ტრეზეგე-იბრაჰიმოვიჩის დუეტით შეუტევს.

რაც შეეხება დაძაბუნებულ „ატალანტას“, დემეტრიო ალბერტინი „ბარსელონაში“ გადაბარგდა, ნახევარმცველი მონტოლივო კი ზედმეტი ყვითელბარათების გამო შეხვედრას გამოტოვებს.

ლივორნოში მარცხის შემდეგ „მილანს“ „იუვენტუსი“ ხუთი ქულით დაუსხლტა და „შავ-წითლებს“ ხვალ, „ბოლონიასთან“ უცილობელი მოგება მართებთ, რათა „ბებერ ქალბატონს“ ზურგში სუნქთვა ისევ აგრძნობინონ.

კარლო ანჩელოტის გუნდის დაცვის ცენტრს დისკვალიფიცირებული ალესანდრო ნესტა დააკლდება, იგი წინა ტურში გაძევეს. გამოჯანმრთელებული თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი კი ისევ დაშავდა — „უდინეზესთან“ სათასო მატჩში მეკარე მორგან დე სანქტისს შეეჯახა. პიპოს მარჯვენა ხელის მაჯა გაუტყდა და საოპერაციოა, როდის გამოკეთდება, არავინ იცის.

კარლო მაცონეს „ბოლონიას“ გაცილებით მეტი პრობლემა აქვს: ჯაკომო ჩიპრიანი, კარლო ნერვო, იგლი ტარე და ახალგადაყვანილი ნიკოლა ლეგროტალიე ტრავმირებულნი არიან.

ახალი მწვრთნელით სკამდამშვენებული „ფიორენტინა“ „კალიარის“ ესტუმრება. სარდინიაზე დინო ძოფის საჩემპიონატო რედებიუტი შედგება. სათასო მატჩში კი ძოფმა გუშინწინ დელ ნერის „რომასთან“ წააგო. ფლორენციელებს ლუკა არიატი და ფაბრიციო მიკოლი დისკვალიფიცირებული ჰყავთ, ხოლო ჩეხი ტომაშ უიფალუში დაშავებული.

„რეჯინა“ რომის „ლაციოს“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დაუხვდება, რადგან ვალტერ მაცარი წინა ტურში გააძევეს და ხვალ იგი ტრიბუნაზე იჯდება. მის ადგილს კი თანაშემწე ალდო სერანტოლა დაიკავებს.

„ლაციოს“ უსმან დაბო და ანტონიო ფილიპინი დასჯილნი არიან, ხოლო ძაური და მუცი — ტრავმირებულნი.

ბრეშაში ჩასულ „ლეჩეს“ დისკვალიფიცირებული მთავარმეგოლე ბოჟინოვი ვერ დაეხმარება, ხოლო „ინტერს“ კვლავ არ ეყოლება დაშავებული ადრიანო და სიცილიაში, „პალერმოსთან“ ბრძოლა ბრაზილიელი ფორვარდის გარეშე მოუწევს.

# თანაავტორის ავტორი

## ატალანტას ინტერის ცოტაც ეყო





დავიდ სუაცოსა და ობაფემი მარტინსის გოლებმა შესაბამისად, „კალიარის“ და „ინტერის“ მოგება განაპირობეს

**იტალია**

**თასის მეოთხედფინალი**
**პირველი მატჩები**

**ატალანტა 0:1 ინტერი**

0:1 მარტინსი (72)

**ატალანტა:** კალდერონი, მოტა, სალა, ნატალი, ბელინი, დ. ძენონი, მილაჩიო, ბერნარდინი (მონტოლივო 83), მარკოლინი, ლაცარი (ბუდანი 76), სინიგალია

**მწვრთნელი:** დელიო როსი

**ინტერი:** კარინი, ზე მარია, ბურდისო, მიხაილოვიჩი, კოკო, ვან დერ მეიდე (ხ. ძანეტი 87), ხ. ვერონი, ემრე, დავიდსი, რეკობა (ო. მარტინსი 61), ხ. კრუზი (კილი გონსალესი 89)

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**გაფრთხილება:** სალა, ნატალი

**მსაჯი:** პალანკა

5 000 მაყურებელი

**კალიარი 2:0 სამპდორია**

1:0 ბიანკი (4), 2:0 სუაცო (24)

**კალიარი:** იეცო, ფ. პიზანო, დ. ლოპესი, ლორია, საბატო, დელნევო (გობი 85), კონტი (აბეიხონი 64), ალბინო, ხ. ალვარესი, სუაცო (ძოლა 66), ბიანკი

**მწვრთნელი:** დანიელე არიგონი

**სამპდორია:** ტურჩი (ანტონიოლი 29), ჯ. ძენონი, კაროციერი, მ. კასტელინი, საკეტი (მ. პიზანო 20), დიანა, დონადელი, ედუსეი, პაგანო (ტონეტო 46), კუტუზოვი, როზელი

**მწვრთნელი:** ვალტერ ნოველინო

**გაფრთხილება:** კაროციერი, კონტი, ტონეტო, დონადელი, ალბინო

**მსაჯი:** ტომბოლინი

2 000 მაყურებელი

**რომ ვთქვათ,** „ინტერმა“ კარგად ითამაშაო, ტყუილი გამოგვივა, მაგრამ როგორც ითამაშა, „ატალანტას“ დასამარცხებლად საკმარისი იყო. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული ობაფემი მარტინსის გოლმა მილანელები „სან სიროზე“ საპასუხო მატჩის წინ გვარიანად მომგებიან პოზიციაში დააყენა.

„ატალანტამ“, რომელიც სერია A-ში საზიზღრად თამაშობს, მაგრამ თასის წინა ეტაპიდან თვით „იუვენტუსი“ დაიფრინა, პირველ ტაიმში მეტოქეს აჯობა. ბერგამოელთა იერიშები გაცილებით მწვავე იყო, თუმც ეს უპირატესობა ანგარიშში ვერ აისახა.

რობერტო მანჩინიმ, „ინტერის“ მწვრთნელმა, თავის გამოჩენის საშუალება სარეზერვო ფეხბურთელებს მისცა, თუ ამ ხალხზე რეზერვისტების თქმა შეიძლება — ფრანჩესკო კოკო, ედგარ დავიდსი, ალვარო რეკობა, ხულიო კრუზი. თუმცა ისინი ბევრს ვერაფერს გახდნენ და პირველ ტაიმში ფაქტობრივად ერთადერთხელ დაემუქრნენ მასპინძელთა კარს — რეკობას შესრულებული საჯარიმო დარტყმით ბურთი ოდნავ ასცდა კარს. აი, ეს იყო და ეს. ბერგამოელთაგან კი ორი კარგი მომენტი კაპიტანს, დამიანო ძენონის ჰქონდა, ერთხელაც მილანელთა მეკარე ფაბიან კარინი გაუმკლავდა პირისპირ გასულ თავდამსხმელს.

მეორე ტაიმიც „ატალანტას“ იერიშებით დაიწყო. ათწუთიან მონაკვეთში მარტო ანდრეა ლაცარის ჰქონდა სამი ერთიმეორეზე უკეთესი შანსი.

ამის მერე მანჩინიმ შეცვლა გააკეთა და თითქმის როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაუმართლა. რეკობას ნაცვლად შესულმა მარტინსმა მასპინძელთა მეკარეს ბურთი თავსზემოთ გადაუგდო და მილანში მოგება წაიღო.

გუშინწინდელ მეორე მატჩში პატარა „კალიარიმ“ დიდი ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ.

სარდინიულ სტადიონზე შეკრებილმა ხალხმა მეოთხე წუთზევე გაიხარა, როცა როლანდო ბიანკიმ სუაცოს პასით გვარიანად მახვილი კუთხიდან გაიტანა. იმ ეპიზოდში გენუელთა მეკარე ლუიჯი ტურჩის ბურთის მოგერიებაც შეეძლო, მაგრამ უხერხულად წაიქცა, მუხლი იტკინა და მოგვიანებით შესაცვლელიც შეიქნა.

„კალიარიამ“, რომელიც ჯანფრანკო ძოლას გარეშე თამაშობდა, მეორე გოლიც მალევე გაიტანა, რომლის ავტორიც პირველის თანაავტორი სუაცო გახდა.

სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, „სამპდორიამ“ ბოლომდე იბრძოლა, რაკი ერთი ბურთიც რომ გაექვითა, საპასუხო მატჩის წინ ურიგო შანსი არ ექნებოდა, მაგრამ „კალიარის“ დაცვა შეუცდომლად თამაშობდა.

საერთოდ კი, ამ სეზონში კალიარელებს შინ ერთადერთი მატჩი აქვთ წაგებული და ისიც ჩემპიონ „მილანთან“.

**ირაკლი ნინიძე**

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## ჰიონესისთვის ჰერტა გამოცანაა
## ბალაკი ბერლინში ბრუნდება



მიხაელ ბალაკმა სასჯელი მოიხადა

**„ჰერტასთან“** მატჩისთვის ხვალ მიუნხენის „ბაიერნს“ სასჯელმოხდილი მიხაელ ბალაკი უბრუნდება, ძირითადი შემადგენლობიდან კი ალბათ, ბასტიან შვაინსტაიგერი ამოვარდება.

ბალაკის გარეშე „ბაიერნმა“ შინ „ჰამბურგს“ მოუგო 3:0, მაგრამ მიუნხენელთა კომერციულ მენეჯერ ული ჰიონესის თქმით, „ჰერტა“ ისეთი უცნაური გუნდია, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი — მიხაელ ბალაკი დროზე დაგვიბრუნდაო. ბერლინელთა მთავარმწვრთნელი მარსელინიოს სტუმრები სავარაუდოდ, ინგლისელ ოუენ ჰარგრივსს მიუჩენენ ისე, რომ ბრაზილიელ ფორვარდს „ფეხზე დაჯდეს“.

ბილეფილდის „არმინიას“ მწვრთნელ უვე რაპოლდერს დელრონ ბაკლის გამოჯანმრთელება უხარია. იამაიკელი თავდამსხმელი ტრავმირებული იყო და წინა ტურის მატჩში გუნდსაც ამიტომ ვერ დაეხმარა, ამჯერად კი „ჰანოვერთან“ ითამაშებს.

მეორე წრის პირველივე შეხვედრაში, „ლევერკუზენმა“ დაამტკიცა, რომ ისევ ძალიან კარგ ფორმაშია. „ფარმაცევტებმა“ სტუმრად „ჰანოვერი“ დაამარცხეს 3:0 და დღეს, „ბოხუმის“ ძლევასაც ეცდებიან. ბოხუმელები ბოლოდან მესამე ადგილზე ყურყუტებენ და ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვიან.

ფოლკერ ფინკეს „ფრაიბურგმა“ ერთი კვირის წინ როსტოკიდან ქულა რომ წაიღო, დღეს „ვოლფსბურგს“ უმასპინძლებს. ერიკ გერეტსის გუნდი ერთადერთი უფრეოა ჩემპიონატში, „ფრაიბურგს“ კი სეზონში მეორე საშინაო თამაშის მოგება სურს. „მგლებს“ არგენტინელი ანდრეს დალესანდრო დააკლდებათ. დალესანდრო წრეებს შორის შესვენებისას მომჯობინდა, მაგრამ „დორტმუნდთან“ შეხვედრას მეორე ტაიმში კვლავ დაშავდა და ისევ სამკურნალო შეიქნა.

„ბაიერნისგან“ ნაგვემი „ჰამბურგი“ ჯავრის ყრას „მაინცზე“ ეცდება, რომელიც ნელ-ნელა მეორე ბუნდესლიგისკენ ეშვება იქ, საიდანაც შარშან ამოძვრა. ჰამბურგელებს დავიდ იაროლიმი, ხოლო მაინცელებს ფორვარდი მიხაელ ტიურკი ვერ დაეხმარება.

კაიზერსლაუტერნში ბუნდესლიგის ლიდერთაგანი, გელზენკირხენის „შალკე“ ჩადის და ძალიან საინტერესო მატჩიც უნდა გამოდგეს, რადგან ავსტრიელმა მწვრთნელმა კურტ იარამ „ლაუტერნი“ კარგადააწყო. გუნდი ბოლო ადგილიდან ცხრილის შუაში ასწია და, რასაკვირველია, დღეს „ხუმარებს“ სასაცილოდ არ ეცლებათ. ლევან კობიაშვილის გუნდს სულ მცირე, ერთი [illegible] ცხრილის თავში [illegible]

მათიას ზამერის „შტუტგარტი“ კვლავ ლიდერთა სამეულშია და საჩემპიონო პრეტენზიაც აქვს. შტუტგარტელებს ზვონიმირ სოლდო დისკვალიფიცირებული, ფილიპ ლამი და მარკო შტრელერი ტრავმირებული ჰყავთ, მაგრამ შინ „ნიურნბერგის“ ძლევას ალბათ, მაინც მოახერხებენ.

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰამბურგი | : | მაინცი |
| ლევერკუზენი | : | ბოხუმი |
| არმინია | : | ჰანოვერი |
| დორტმუნდი | : | გლადბახი |
| ფრაიბურგი | : | ვოლფსბურგი |
| ლაუტერნი | : | შალკე |
| შტუტგარტი | : | ნიურნბერგი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | : | ბაიერნი |
| ვერდერი | : | ჰანზა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
| 22:30 | 524 | ბილბაო-უნიკახა | 2.0 | 12.0 | 1.6 | 1.71 | 1.0 | 1.41 |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 14:30 | 520 | ალიკანტე-ბრეოგანი | 1.15 | 12.0 | 3.5 | 1.04 | 1.0 | 2.7 |
| 20:00 | 521 | რეალი-ტაუ | 1.6 | 12.0 | 2.2 | 1.41 | 1.0 | 1.85 |
| 14:30 | 522 | ბარსელონა-სან ფერნანდო | 1.2 | 12.0 | 3.3 | 1.09 | 1.0 | 2.58 |
| 21:00 | 523 | მანრესა-ესტუდიანტესი | 1.75 | 12.0 | 1.9 | 1.52 | 1.0 | 1.64 |
| 21:00 | 525 | ხირონა-ლეიდა | 1.4 | 12.0 | 2.55 | 1.25 | 1.0 | 2.1 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 526 | ირაკლისი-აპოლონი | 1.4 | 12.0 | 2.5 | 1.25 | 1.0 | 2.06 |
| 18:00 | 527 | მარუსი-მაკედონიკოსი | 1.3 | 12.0 | 2.9 | 1.17 | 1.0 | 2.33 |
| 20:00 | 528 | პაოკ-პანელინიოსი | 1.05 | 12.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 18:00 | 529 | ოლიმპია-მენტი | 1.35 | 12.0 | 2.55 | 1.21 | 1.0 | 2.1 |
| 19:30 | 530 | იონიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2.7 | 12.0 | 1.4 | 2.2 | 1.0 | 1.25 |
| 20:00 | 531 | პანათინაიკოსი-არისი | 1.1 | 12.0 | 4.0 | 1.0 | 1.0 | 3.0 |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 19:30 | 532 | პანიონიოსი-აეკ | 2.0 | 12.0 | 1.6 | 1.71 | 1.0 | 1.41 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11062 | არმინია-ჰანოვერი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11064 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11065 | ჰამბურგი-მაინცი | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11066 | ჰერტა-ბაიერნი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11067 | ვერდერი-ჰანზა | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11078 | სამპდორია-სიენა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11079 | ატალანტა-იუვენტუსი | 11.0 | 11.0 | 20.0 | 12.0 | 5.0 | 3.5 | 30.0 | 12.0 | 1.8 |
| 11080 | ბრეშა-ლეჩე | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11081 | კალიარი-ფიორენტინა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11082 | კიევო-ლივორნო | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11083 | მილანი-ბოლონია | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11084 | პალერმო-ინტერი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11085 | პარმა-უდინეზე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11086 | რეჯინა-ლაციო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11087 | რომა-მესინა | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11119 | ესპანიოლი-ბეტისი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11120 | მალიორკა-ხეტაფე | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11121 | ნუმანსია-რეალი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 1.9 |
| 11122 | ოსასუნა-დეპორტივო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11123 | რასინგი-ლევანტე | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11124 | სევილია-ბარსელონა | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11126 | ვალენსია-ბილბაო | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11127 | სარაგოსა-მალაგა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 3.5 | 2.0 | 2.65 | 1.27 | 1.5 | 1.13 |
| 10060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.7 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.32 | 1.66 |
| 10061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.7 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.32 | 1.66 |
| 10062 | არმინია-ჰანოვერი | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 2.2 | 2.0 | 4.5 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10064 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 3.35 | 2.0 | 2.75 | 1.25 | 1.51 | 1.15 |
| 10065 | ჰამბურგი-მაინცი | 1.8 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.34 | 1.55 |
| 10066 | ჰერტა-ბაიერნი | 3.4 | 2.0 | 2.7 | 1.25 | 1.5 | 1.14 |
| 10067 | ვერდერი-ჰანზა | 1.65 | 2.4 | 6.0 | 1.0 | 1.29 | 1.71 |
| 10124 | სევილია-ბარსელონა | 3.4 | 2.0 | 2.7 | 1.25 | 1.5 | 1.14 |
| 10078 | სამპდორია-სიენა | 2.0 | 2.1 | 5.2 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10079 | ატალანტა-იუვენტუსი | 5.8 | 2.4 | 1.65 | 1.69 | 1.28 | 1.0 |
| 10080 | ბრეშა-ლეჩე | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10081 | კალიარი-ფიორენტინა | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10082 | კიევო-ლივორნო | 2.6 | 2.0 | 3.6 | 1.13 | 1.5 | 1.28 |
| 10083 | მილანი-ბოლონია | 1.4 | 2.7 | 7.3 | 1.0 | 1.17 | 1.97 |
| 10084 | პალერმო-ინტერი | 3.8 | 2.0 | 2.5 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 10085 | პარმა-უდინეზე | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10086 | რეჯინა-ლაციო | 2.65 | 2.0 | 3.5 | 1.13 | 1.5 | 1.27 |
| 10087 | რომა-მესინა | 1.7 | 2.2 | 6.0 | 1.0 | 1.32 | 1.6 |
| 10118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.95 | 2.1 | 5.2 | 1.01 | 1.41 | 1.49 |
| 10119 | ესპანიოლი-ბეტისი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10120 | მალიორკა-ხეტაფე | 2.45 | 2.0 | 3.9 | 1.1 | 1.5 | 1.32 |
| 10121 | ნუმანსია-რეალი | 6.0 | 2.3 | 1.75 | 1.66 | 1.35 | 1.0 |
| 10122 | ოსასუნა-დეპორტივო | 2.7 | 2.0 | 3.4 | 1.14 | 1.5 | 1.25 |
| 10123 | რასინგი-ლევანტე | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10126 | ვალენსია-ბილბაო | 2.0 | 2.1 | 5.2 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10127 | სარაგოსა-მალაგა | 2.2 | 2.1 | 4.6 | 1.07 | 1.48 | 1.44 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1.6 | 2.0 |
| 13060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.6 | 2.0 |
| 13061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13062 | არმინია-ჰანოვერი | 1.7 | 1.9 |
| 13063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1.6 | 2.0 |
| 13065 | ჰამბურგი-მაინცი | 1.6 | 2.0 |
| 13066 | ჰერტა-ბაიერნი | 1.6 | 2.0 |
| 13067 | ვერდერი-ჰანზა | 1.7 | 1.9 |
| 13078 | სამპდორია-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 13079 | ატალანტა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13080 | ბრეშა-ლეჩე | 1.6 | 2.0 |
| 13082 | კიევო-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13081 | კალიარი-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13083 | მილანი-ბოლონია | 1.9 | 1.7 |
| 13084 | პალერმო-ინტერი | 1.6 | 2.0 |
| 13085 | პარმა-უდინეზე | 1.6 | 2.0 |
| 13086 | რეჯინა-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13087 | რომა-მესინა | 1.6 | 2.0 |
| 13118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13119 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13120 | მალიორკა-ხეტაფე | 1.7 | 1.7 |
| 13121 | ნუმანსია-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13122 | ოსასუნა-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 13123 | რასინგი-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13124 | სევილია-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.6 | 2.0 |
| 13126 | ვალენსია-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13127 | სარაგოსა-მალაგა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2.0 | 1.8 |
| 14060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.3 | 2.5 |
| 14061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.3 | 2.5 |
| 14062 | არმინია-ჰანოვერი | 1.8 | 2.0 |
| 14063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1.45 | 2.4 |
| 14064 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2.0 | 1.8 |
| 14065 | ჰამბურგი-მაინცი | 1.45 | 2.4 |
| 14066 | ჰერტა-ბაიერნი | 2.0 | 1.8 |
| 14067 | ვერდერი-ჰანზა | 1.2 | 2.6 |
| 14078 | სამპდორია-სიენა | 1.45 | 2.4 |
| 14079 | ატალანტა-იუვენტუსი | 2.5 | 1.3 |
| 14080 | ბრეშა-ლეჩე | 1.8 | 2.0 |
| 14081 | კალიარი-ფიორენტინა | 1.7 | 2.2 |
| 14082 | კიევო-ლივორნო | 1.75 | 2.1 |
| 14083 | მილანი-ბოლონია | 1.15 | 2.9 |
| 14084 | პალერმო-ინტერი | 2.0 | 1.8 |
| 14085 | პარმა-უდინეზე | 1.9 | 1.9 |
| 14086 | რეჯინა-ლაციო | 1.8 | 2.0 |
| 14087 | რომა-მესინა | 1.3 | 2.5 |
| 14118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.45 | 2.4 |
| 14119 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.75 | 2.1 |
| 14120 | მალიორკა-ხეტაფე | 1.75 | 2.1 |
| 14121 | ნუმანსია-რეალი | 2.5 | 1.3 |
| 14122 | ოსასუნა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 14123 | რასინგი-ლევანტე | 1.75 | 2.1 |
| 14124 | სევილია-ბარსელონა | 2.0 | 1.8 |
| 14125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 14126 | ვალენსია-ბილბაო | 1.45 | 2.4 |
| 14127 | სარაგოსა-მალაგა | 1.65 | 2.3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15062 | არმინია-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15064 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15065 | ჰამბურგი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15066 | ჰერტა-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15067 | ვერდერი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15078 | სამპდორია-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | ატალანტა-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | ბრეშა-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | კალიარი-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | კიევო-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | მილანი-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | პალერმო-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | პარმა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | რეჯინა-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | რომა-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15119 | ესპანიოლი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15120 | მალიორკა-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15121 | ნუმანსია-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15122 | ოსასუნა-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15123 | რასინგი-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15124 | სევილია-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15126 | ვალენსია-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15127 | სარაგოსა-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1.9 | 1.7 |
| 12060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 12061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 2.0 | 1.6 |
| 12062 | არმინია-ჰანოვერი | 1.9 | 1.7 |
| 12063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1.9 | 1.7 |
| 12064 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2.0 | 1.6 |
| 12065 | ჰამბურგი-მაინცი | 2.0 | 1.6 |
| 12066 | ჰერტა-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12067 | ვერდერი-ჰანზა | 2.0 | 1.6 |
| 12078 | სამპდორია-სიენა | 1.6 | 2.0 |
| 12079 | ატალანტა-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 12080 | ბრეშა-ლეჩე | 1.9 | 1.7 |
| 12081 | კალიარი-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 12082 | კიევო-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 12083 | მილანი-ბოლონია | 1.9 | 1.7 |
| 12084 | პალერმო-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 12085 | პარმა-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12086 | რეჯინა-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12087 | რომა-მესინა | 2.0 | 1.6 |
| 12118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 12119 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12120 | მალიორკა-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12121 | ნუმანსია-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 12122 | ოსასუნა-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12123 | რასინგი-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 12124 | სევილია-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 12126 | ვალენსია-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12127 | სარაგოსა-მალაგა | 1.7 | 1.9 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2.0 | 1.6 |
| 16060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.15 | 3.9 |
| 16061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.15 | 3.9 |
| 16062 | არმინია-ჰანოვერი | 1.6 | 2.0 |
| 16063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1.3 | 2.75 |
| 16064 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 1.9 | 1.6 |
| 16065 | ჰამბურგი-მაინცი | 1.2 | 3.3 |
| 16066 | ჰერტა-ბაიერნი | 1.9 | 1.6 |
| 16067 | ვერდერი-ჰანზა | 1.15 | 4.0 |
| 16078 | სამპდორია-სიენა | 1.2 | 3.4 |
| 16079 | ატალანტა-იუვენტუსი | 4.0 | 1.15 |
| 16080 | ბრეშა-ლეჩე | 1.6 | 2.0 |
| 16081 | კალიარი-ფიორენტინა | 1.4 | 2.4 |
| 16082 | კიევო-ლივორნო | 1.5 | 2.2 |
| 16083 | მილანი-ბოლონია | 1.05 | 6.0 |
| 16084 | პალერმო-ინტერი | 2.1 | 1.55 |
| 16085 | პარმა-უდინეზე | 1.65 | 1.9 |
| 16086 | რეჯინა-ლაციო | 1.55 | 2.1 |
| 16087 | რომა-მესინა | 1.15 | 4.0 |
| 16118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.2 | 3.2 |
| 16119 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.45 | 2.3 |
| 16120 | მალიორკა-ხეტაფე | 1.45 | 2.3 |
| 16121 | ნუმანსია-რეალი | 3.45 | 1.2 |
| 16122 | ოსასუნა-დეპორტივო | 1.6 | 2.1 |
| 16123 | რასინგი-ლევანტე | 1.5 | 2.2 |
| 16124 | სევილია-ბარსელონა | 1.9 | 1.6 |
| 16125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.75 | 1.85 |
| 16126 | ვალენსია-ბილბაო | 1.25 | 3.2 |
| 16127 | სარაგოსა-მალაგა | 1.35 | 2.6 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17059 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17060 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17062 | არმინია-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ჰამბურგი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | ჰერტა-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | ვერდერი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17078 | სამპდორია-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ატალანტა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ბრეშა-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17081 | კალიარი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17082 | კიევო-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17083 | მილანი-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17084 | პალერმო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | პარმა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17086 | რეჯინა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17087 | რომა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17119 | ესპანიოლი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17120 | მალიორკა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17121 | ნუმანსია-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17122 | ოსასუნა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17123 | რასინგი-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17124 | სევილია-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ვალენსია-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17127 | სარაგოსა-მალაგა | 1.85 | 1.95 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ტურნირი დაგვიწინაურდა, სტუმარი მოგვაკლდა

**დღეს** თბილისის სპორტის სასახლეში ახალი ოლიმპიური ციკლის მეორე ტურნირი, ტრადიციული საერთაშორისო პირველობა იწყება. მას ამიერიდან ახალი სახელი ჰქვია. ევროპული ძიუდოს შეფებმა გადაწყვიტეს A და სუპერ A კატეგორიების ტურნირებისთვის მსოფლიოს თასისა და მსოფლიოს სუპერთასის ტიტულები მიენიჭებინათ და ამრიგად, დღეს-ხვალ გაჩემპიონებულებს მსოფლიოს თასის მფლობელებად მოიხსენიებენ.

ასეთი პატივის მიუხედავად, „ოცდამეთორმეტე თბილისურის" გამორჩეული სიძლიერით ვერ დავიკვეხნით. ახალი ოლიმპიური ოთხწლეული ჯერ ხეირიანად არ გახურებულა და უძლიერესი შემადგენლობით საერთაშორისო ტურნირებზე სიარულს ყველა ნაკრები ერიდება. სწორედ ამ მიზეზით თბილისურ შეჯიბრს შარშანდელის ლამის მესამედი სტუმარი ჰყავს. ჩამოსულთაგან საუკეთესოები — იაპონია, რუსეთი და საფრანგეთი კი ოდენ ნაკრების კანდიდატებით და ახალგაზრდული ნაკრების წევრებით ჩამოვიდნენ, თუმც ხასიათს ნუ გაიფუჭებთ, ამ ახალგაზრდებისთვის ძირითად ნაკრებისკენ მიმავალი ხომ გზა სწორედ თბილისზე გადის და ალბათ ბევრი ამას წლის ბოლომდეც მოახერხებს. მრავალტატამნანახი კიმონოსნებისთვის კი ერთი რიგითი საერთაშორისო პირველობა, თუნდაც მსოფლიოს თასი დიდი ვერაფერი სტიმული იქნებოდა. ასე რომ, რამდენიმე დღის წინ მსოფლიო ძიუდოს ვარსკვლავების სპორტის სასახლეში ხილვით დაიმედებულნი თუ ახლა მხოლოდ თორმეტი ქვეყნის სპორტსმენებს შეავლებთ თვალს, იმედგაცრუებულნი უმალ შინ დაბრუნებას ნუ იფიქრებთ. ტურნირს დაძაბულობა მაინც არ მოაკლდება.



რაჩან სათბილისო ნაკრებთა რაოდენობა ვთქვით, კიდეც ჩამოვთვლით. სპორტის სასახლეში აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, ლიტვის, უკრაინის, ყაზახეთის, საფრანგეთის, იაპონიის, საბერძნეთის, კონგოსა და სერბეთის დროშები იფრიალებს. ზოგიერთი ნაკრები ორი შემადგენლობითაც ეცდება კვარცხლბეკის დალაშქვრას. საქართველოს კი, როგორც მასპინძელს, თითო წონაში ოთხი კაცის დაყენების უფლება აქვს და რაღა თქმა უნდა, ლიმიტს მაქსიმალურადაც იყენებს.

გულშემატკივრისთვის მთავარი სიურპრიზი ტატამზე ხერგიანისა და ზვიადაურის ხილვა იქნება. შოთა ხაბარელის გადაწყვეტილებით ნაკრები საბრძოლო შემადგენლობით გამოდის, თიკოოროლა ტრავმირებულის გამოკლებით.

გუშინ სპორტის დეპარტამენტში წინასატურნირო პრესკონფერენციაზე ხაბარელმა და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა ქართველი სპორტსმენების სამზადისსა და საორგანიზაციო საკითხებზე ისაუბრეს. აქაოდა, არც ერთ ფრონტზე თუნდაც უმნიშვნელო პრობლემაც არ შეგვქმნია და რაჩან ყველა პროცედურა უმტკივნეულოდ გავიარეთ, ლამაზი ტურნირის მოლოდინშიც თქვენთან ერთად ვართო.

**საქართველოს ნაკრები**

60 კგ
ნესტორ ხერგიანი
ვახტანგ ხოსიტაშვილი
დავით ასუმბანი
დავით სვიმონიშვილი
66 კგ
ზაზა კედელაშვილი
დავით უძილაური
მინდია ხომიზური
ზეზვა ებელაშვილი
73 კგ
ტარიელ მინესაშვილი
ოთარ ახალაია
მიხეილ ყიფიშიძე
დავით კუპრაშვილი
81 კგ
გრიგოლ მამრიკიშვილი
გრიგოლ შინჯიკაშვილი
ხვიჩა ხუციშვილი
გიორგი ბაინდურაშვილი
90 კგ
ზურაბ ზვიადაური
მინდია ბოდაველი
ლაშა გენგაშვილი
ირაკლი ცირეკიძე
100 კგ
გიორგი გუგავა
დიმიტრი ტურაშვილი
ლევან რაზმაძე
ლაშა ფეიქრიშვილი
+100 კგ
ალექსი დავითაშვილი
ლაშა გუჯეჯიანი
ზვიად ჩინჩალაძე
ივერი ჯიქურაული

დღეს საჭიდაოდ სამი მსუბუქი წონა (60, 66, 73კგ) თორმეტი საათიდან გავა. წინაწარი შეხვედრები ხუთის ნახევრამდე მომთავრდება. მერე კი ტურნირის ნახევარსაათიანი საზეიმო გახსნის ცერემონიალის დასრულების შემდეგ მედალოსნებიც გამოვლინდებიან. 81, 90, 100 და +100-კილოგრამიანები კი შეჯიბრში ხვალ დილიდან ჩაერთვებიან. ბილეთის ფასი სულ რაღაც ერთი ლარია. ასე რომ, მობრძანდით და ისიამოვნეთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მანდილები გარეთ დატოვეთ

## საქართველოში ქალებიც იჭიდავებენ

**ორი წლის განმავლობაში თავს იტეხდა აშდფ (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციათა ასოციაცია) ჭიდაობის ახალი წესების შემუშავებაზე, რაც მიზნად ისახავდა ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობის სანახაობრივი მხარის გაუმჯობესებას და აშკარად ხელოვნურად გართულებული წესების გამარტივებას.**

**წლეულს** იანვარში იტალიის დედაქალაქ რომში დასკვნითი სხდომა გაიმართა, რომელზეც მიღწეულ შედეგებზე ისაუბრეს და ახალი წესებიც გამოაცხადეს. მუშაობის პროცესში მონაწილეობა ნებისმიერი ქვეყნის ფედერაციას შეეძლო და ბუნებრივია, ისეთი „მოჭიდავე" ქვეყანა, როგორიც საქართველოა, განზე ვერ დადგებოდა. შედეგად კი ასოციაციებმა ბევრი რამ გაითვალისწინეს.

რომიდან დაბრუნებულმა უმაღლესი კატეგორიის მსაჯმა ედიშერ მაჩაიძემ წესებში ძირითადი ცვლილებები გაგვაცნო.

შეიცვალა პერიოდების ხანგრძლივობა. ადრე თუ 3 წუთს ჭიდაობდნენ თითო ნახევარში, ახლა 2 წუთამდე შემცირდა. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც. თუ ერთი ორწუთეული ერთმა მოჭიდავემ მოიგო, მეორე კი მეორემ, ანგარიში 1:1 ხდება და დამატებითი მესამე ორწუთეული ინიშნება. ძალაში რჩება გდებით მოგების წესი. პერიოდი ჩერდება ხუთქულიანი გდების ან ორი სამქულიანის შემთხვევაში და ილეთის შემსრულებელი ავტომატურად იგებს პერიოდს. ბრძოლა ასევე ჩერდება 6:0-ის შემთხვევაში. თუ პერიოდი საყაიმო ანგარიშით დასრულდა, მაშინ გამარჯვება უკეთესი გდების შემსრულებელს ენიჭება. განვმარტოთ: ვთქვათ, ორწუთეული 3:3 დასრულდა. ერთმა სპორტსმენმა სამჯერ შეასრულა ერთქულიანი გდება, მეორემ ეს 1 ერთქულიანი და 1 ორქულიანი, ასეთ შემთხვევაში გამარჯვებულად ორქულიანი გდების შემსრულებელი დასახელდება. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, მაშინ უპირატესობა იმ


ედიშერ მაჩაიძე

ფალავანს ენიჭება, რომელმაც უკანასკნელი გდება განახორციელა. თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილებით, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა პირველი გდების შემსრულებელს ენიჭებოდა, თუმცა ქართული მხარის შენიშვნა, რომ ასეთი რამ მართებელი არ იქნებოდა, გაითვალისწინეს რომში.

საქმე ის გახლავთ, რომ პასიურობისთვის საჭირო ქულის მინიჭება გაუქმდა — ფრის შემთხვევაში ხომ პირველი გდების შემსრულებელს შეეძლო, დაუსჯელად ეპასიურა. სამაგიეროდ, საჯარიმო ქულა ახლა ხალიჩის გარეთ გასვლისთვის ენიჭება სპორტსმენს. ჩოქბჯენის წესი კი გაუქმებულია. ხაზის გარეთ ფეხგამოდგმული სპორტსმენი საჯარიმო ქულას იღებს, მაგრამ ბრძოლა ხალიჩის შიგნით ჩოქბჯენის გარეშე იწყება.

ამ ძირითადი ცვლილებების გარდა არის კიდევ პატარა ნიუანსები, რომლებიც დროთა განმავლობაში დაიხვეწება. რაც მთავარია, აშკარად გამარტივებულია და მნიშვნელოვნად იზღუდება მსაჯის მიერ შედეგზე მანიპულაციის შესაძლებლობა, რაც — ათენის ოლიმპიურ თამაშებს თუ გავიხსენებთ — ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემაა.

გარდა წესებისა პრესკონფერენციაზე სამომავლო გეგმებიც განიხილეს, მათ შორის საქართველოში საერთაშორისო ტურნირების ჩატარებასთან და ქალთა ჭიდაობის განვითარებასთან დაკავშირებით.

ქალთა ჭიდაობაზე წინდაწინ ვერაფერს იტყვი. ძნელი სავარაუდოა, როგორ მიიღებს ქართული მენტალიტეტი მანდილოსნების მიერ ერთმანეთის ბეჭებზე გაკვრას, მაგრამ ერთი კია, რაკიღა დემოკრატიული ქვეყანა გვქვია, რატომ დავუშალოთ ვინმეს ჭიდაობა, თუნდაც ეს ქალი იყოს. ამას გარდა, მედალი მედალია და არა გვგონია, ქალის მიერ მოპოვებული ნაკლებად სასიამოვნო იყოს.

**ლადო ფულუკიძე**



დღეს რუსთავის „თუჯს“ ძალიან უჭირს — უხელფასოდ არსებობს და „აზოტის“ ქარხნის ხელმძღვანელობას თავის დროზე საშვილიშვილო საქმე რომ არ გაეკეთებინა და „ქიმიკოსთა“ დარბაზი არ გაერემონტებინა, ვინძლო ქვემოქართლელთა გუნდი კარგა ხნის დაშლილიც ყოფილიყო. საბედნიეროდ, რუსთაველებს ღუნღულა დარბაზი აქვთ, თორემ უხელფასო კალათბურთელს, რომელსაც საკუთარი ოჯახი ჰყავს, ვერ აიძულებ, ამ ზამთარში ვარჯიშებზე იაროს. ქვემოქართლელები გაუთავებლად მოლოდინში არიან, რაკი სპონსორები ისე მიდი-მოდიან, კლუბისთვის საერთოდ ვერ იცლიან. რუსთავის გუნდს ახლა „თუჯი“ ჰქვია, მაგრამ ამ საწარმოსგან ჯერ არაფერი მიუღია ბრტყელ-ბრტყელი დაპირებების გარდა. ამასობაში რუსთაველთა გუნდის მოთმინების ფიალაც აივსო და ჰორიზონტზე მორიგი იმედის სხივი, ქვემო ქართლის ხელმძღვანელობა, კერძოდ კი რეგიონის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი გამოჩნდა...

# იმედის ქალაქი

## რუსთავის გუბერნიას მერის სჯერა

— ოთხშაბათს შევხვდი ქვემო ქართლის გუბერნატორს, ბატონმა ზურაბ მელიქიშვილმა დაგვაიმედა, რომ ჩვენს გუნდს ყველანაირად დაეხმარება — გვითხრა რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ.

— თქვენი კლუბი წელიწადნახევარია, იმედიანადაა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთი თეთრიც არ მიგიღიათ...

— ახლა საქმეში უშუალოდ გუბერნატორი ჩაერია და უიმედოდ ყოფნის უფლებაც არ გვაქვს.

— კონკრეტულად რა გითხრათ გუბერნატორმა, რამე თარიღი ხომ არ დაუთქვამს?

— ორი კვირის შემდეგ შეგვეხმიანეთო, მანამდე კი სპონსორის პოვნას შევეცდები და ალბაძ მოგინახავთ ვინმესო.

— სპონსორები თქვენს გუნდს არასდროს აკლდა და ახლაც გყავთ, საწარმო „თუჯი“, მაგრამ...

— „თუჯის“ ხელმძღვანელობა კლუბის დაფინანსების წინააღმდეგი არაა, უბრალოდ, ჯერ თავისი საქმეები აქვს მოსაგვარებელი და მოცდას გვთხოვს.

— რა გარანტია გაქვთ, რომ მომავალი სპონსორიც ასეთი წელგაუმართავი არ იქნება?

— როცა საქმეში ხელისუფლება ჩარეული, თუ კონკრეტულ კომპანიას ჩვენი დაფინანსება არ სურს და შეძლებული არ არის, სპონსორობას არ იკისრებს. ბატონმა ზურაბ მელიქიშვილმა საგანგებოდ დაავალა რუსთავის მერს ჩვენი გუნდის პატრონობა. მერაბ ტყეშელაშვილიც ალბათ ყველაფერს გააკეთებს, რომ „თუჯი“ არ დაიშალოს.

— დანამდვილებით იცით?

— ჩემი თანდასწრებით გამოიძახა და პირადად შემახვედრა მერაბ ტყეშელაშვილს. ამ შეხვედრის შემდეგ ძალიან დიდი იმედი გამიჩნდა და ალბათ თებერვალისთვის წელშიც გავიმართებით. ჯერ მხოლოდ ხელფასების გაცემაზეა ლაპარაკი, მაგრამ თუ სერიოზული სპონსორი გამოინახა, გუნდის გაძლიერებასა და მაღალ შედეგებზეც ვიფიქრებთ. ამასობაში, „თუჯიც“ შემოგვეშველება და რუსთაულ გუნდს ალბათ ჩვეულ ამბიციას დავუბრუნებთ.

**ირაკლი პერტაია**

Euroleague

# ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. XII ტური. 26-27 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ციბონა 89:96 კლიმამიო
ოლიმპიაკოსი 100:74 პარტიზანი
რეალი 57:72 ეფესი
პროკომი 7&74 ესტუდიანტესი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კლიმამიო | 12 | 10 | 2 | +86 | 22 |
| ეფესი | 12 | 10 | 2 | +96 | 22 |
| ციბონა | 12 | 7 | 5 | +43 | 19 |
| რეალი | 12 | 7 | 5 | +44 | 19 |
| პროკომი | 12 | 6 | 6 | -44 | 18 |
| ესტუდიანტესი | 12 | 3 | 9 | -31 | 15 |
| ოლიმპიაკოსი | 12 | 3 | 9 | -111 | 15 |
| პარტიზანი | 12 | 2 | 10 | -82 | 14 |

**B ჯგუფი**

ოლიმპია 79:67 ვილერბანი
ოლიმპია: გოისა (40 წუთი, 20 ქულა)
ჟალგირისი 91:87 სკავოლინი
ბარსელონა 5&70 სიენა
მაკაბი 93:92 აეკ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 12 | 9 | 3 | +124 | 21 |
| სიენა | 12 | 7 | 5 | +74 | 19 |
| ბარსელონა | 12 | 7 | 5 | +20 | 19 |
| აეკ | 12 | 6 | 6 | -6 | 18 |
| ჟალგირისი | 12 | 6 | 6 | -13 | 18 |
| სკავოლინი | 12 | 6 | 6 | -60 | 18 |
| ოლიმპია | 12 | 5 | 7 | -9 | 17 |
| ვილერბანი | 12 | 2 | 10 | -130 | 14 |

**C ჯგუფი**

ტაუ 84:82 პანათინაიკოსი
პო ორტეზი 93:103 ცსკა
უნიკახა 82:67 სკაილაინერზი
ულქერი 62:69 ბენეტონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 12 | 0 | +96 | 24 |
| ბენეტონი | 12 | 7 | 5 | +50 | 19 |
| პანათინაიკოსი | 11 | 6 | 5 | +34 | 17 |
| ულქერი | 12 | 6 | 6 | +37 | 18 |
| ტაუ | 12 | 5 | 7 | -5 | 17 |
| უნიკახა | 12 | 5 | 7 | -3 | 17 |
| სკაილაინერზი | 11 | 3 | 8 | -127 | 14 |
| პო ორტეზი | 12 | 3 | 9 | -102 | 15 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

27 იანვარი

**სან ანტონიო 90:80 საკრამენტო**
სან ანტონიო: ჯინობილი (25)
საკრამენტო: მილერი (19)

**ინდიანა 76:88 დეტროიტი**
ინდიანა: ონილი (27)
დეტროიტი: ბილაფსი (20)

**ჩიკაგო 101:93 შარლოტი**
ჩიკაგო: ნოჩიონი (17)
შარლოტი: რაში (24)



# ხუთშაბათიც შაბათია? ნჰლ ისევ დაინავსა

**ბიზნესმენებო,** დაიმახსოვრეთ! ხუთშაბათი ყველანაირი მოლაპარაკებისთვის მავნე დღე ყოფილა. ბედის ირონიით, ზედიზედ მეორე კვირაა, სწორედ ამ დღეს ინავსება ლიგისა და პროფკავშირის მოლაპარაკებები. ამჯერადაც წინა კვირის ისტორია განმეორდა. მოგეხსენებათ, რომ წინა დღე, ოთხშაბათი (ისევე, როგორც ეს გასულ კვირას იყო), საკმაოდ იმედისმომცემი გახლდათ. მართალია, დაინტერესებულმა მხარეებმა ყოველგვარ კომენტარს თავი აარიდეს, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ მოლაპარაკება უნდა გაგრძელებულიყო, გარკვეული ოპტიმიზმის საბაბს იძლეოდა. მაგრამ მოვიდა ხუთშაბათი და კვლავ გაცხადდა, რომ კომპრომისი ჯერჯერობით მიუღწეველია. ნიუ იორკში ხუთი საათის განმავლობაში მოლაპარაკე მოხელეებმა მხოლოდ ის დასკვნა გამოიტანეს, რომ მხარეებს შორის კვლავ დიდი აზრთა სხვადასხვაობაა. „ჩვენ ისევ დიდი ფილოსოფიური უთანხმოება გვაშორებს. ამიტომაც შეხვედრას თავს ვარიდებთ და ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით“ — განაცხადა ნჰლპა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ტედ სასკინმა. „ჩვენ კვლავ საიდუმლოდ ვტოვებთ მოლაპარაკების საგანს და იმასაც კი, თუ რა ეტაპზე ვიმყოფებით ამჟამად“ — ეს ნჰლ-ის ვიცე-პრეზიდენტ ბილ დეილის სიტყვებია.

საინტერესოა, რომ მოლაპარაკებამდე კულუარებში ისეთი ჭორები დადიოდა, რომ საუბარი პარასკევსაც გაგრძელდებოდა, მაგრამ ორივე მხარემ ეს ინფორმაცია უარყო. სხვათა შორის, დეილიმ ისიც იუარა, რომ თითქოსდა ლიგა ახალ პროექტს ამზადებს, რომელიც საუბრის ახალი თემა უნდა გახდეს. ამასობაში კი დრო პრაქტიკულად აღარ რჩება. ორ დღეში თებერვალიც დადგება და სულ მალე სეზონის დაწყებას აზრი აღარ ექნება. ბოლოს და ბოლოს ივლის-აგვისტოში ხომ არ გაითამაშებენ სტენლის თასს. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს ლოკაუტის გამო სეზონი 20 იანვარს დაიწყო, თასის მფლობელი 24 ივნისს გახდა ცნობილი.

**სამველ ღარიბიანი**

საქართველოს ჩემპიონატი

# ზაზა მაჩალაძის საქმეს ვანო მერაბიშვილი ჩამოიძიებს



ახლა თბილისში სადაც კალათბურთია, იქ ზაზა მაჩალაძის გაჭირვების შესახებ ლაპარაკობენ. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტშიც“ ამ ამბით გახსნეს საკვირაო თსუ-სტუ-ს წინასამატჩო პრესკონფერენცია. ნაოპერაციები მაჩალაძე კვლავ უგონოდაა და მისი მდგომარეობა ჯერაც კრიტიკულია. ამ საქმის გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელიც გუშინ ღუდუშაურის კლინიკას ეწვია და საკუთრივ ექიმებისგან შეიტყო მაჩალაძის მდგომარეობის შესახებ. ხვალ ზაზა 31 წლის ხდება და ღმერთმა ქნას, მის დაბადების დღეზე ხელმეორედ დაიბადოს — ეს გახლდათ კაფეში შეკრებილთა სულისკვეთება. საკუთრივ საკვირაო მატჩთან დაკავშირებით კი ბევრიც არაფერი თქმულა, გუნდების თავკაცებმა თავიანთ გასაჭირსა თუ იმედგაცრუებაზე ილაპარაკეს

ნუგზარ ჭეიშვილი, „სტუ-ჯეოსელის“ მთავარი მწვრთნელი:

— მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდი ორ თებერვალს ირანში მიემგზავრებოდა საერთაშორისო ტურნირში სამონაწილეოდ, მაგრამ მასპინძლებმა თავდაპირველი დანაპირები შეცვალეს და თეირანში აღარ მივდივართ. როგორც ირანელებმა მოგვწერეს, ტურნირში ფრანგულ, კანადურ, უკრაინულ, ბერძნულ და კიდევ რამდენიმე აზიური ქვეყნის გუნდებს უნდა ეთამაშათ, მაგრამ როგორც დღეს მიღებულ ფაქსში ვკითხულობთ, შეჯიბრში მხოლოდ ადგილობრივი გუნდები გამოვლენ — ლეგიონერთა ნაკრები, ირანის ახალგაზრდული ნაკრები, ჩვენი სტუ და მეოთხესაც მოვნახავთო. ტურნირი 5-7 თებერვალს უნდა გაიმართოს, მაგრამ ჩვენ ვიუარეთ, ამხელა გზაზე ორი-სამი მატჩის სათამაშოდ ნამდვილად არ წავალთ.

— ირანის ლეგიონერთა ნაკრებში ქართველები თუ ითამაშებენ?

— კოტე ტულუში და ვაკო ბეჟანიშვილი გამოძახებულნი არიან და როცა მათ ირანში დავუკავშირდით, გვითხრეს, რომ ტურნირზე საპრიზო ფონდი საერთოდ გაუუქმებიათ. არადა, თავიდან თქვეს, 20 ათასი დოლარი იქნებაო, მერე დააკლეს და ახლა...

— სტუ ირანში მოთამაშეების დამატებას აპირებდა და ახლა ეს საქმე ჩაიშალა?

— მოთამაშეების რა გითხრათ, მაგრამ ვახტანგ მინაშვილი თეირანიდან კვირას ჩამოდის თბილისში და თუ რამე არ შეიცვალა, ჩვენთან ითამაშებს. თითქმის გადაწყვეტილია ასევე დავით ერქვანიას სტუ-ში ჩარიცხვა, რომელიც სსუ-ში თამაშობდა და ამ ბოლო დროს უცხოურ კლუბში იმყოფებოდა გასინჯვებზე.

*რაც შეეხება ტრავმებს, სახელმწიფო უნივერსიტეტელებს უფრო უჭირთ, რაკი სასტარტო შემადგენლობის ერთბაშად ოთხი მოთამაშე აკლიათ. ნუგზარ კოკოლიშვილი ჯერაც საზღვარგარეთაა, ხოლო თსუ-ს ტრავმირებულთა ორკაციან სიას ირაკლი მაისურაძეც შეემატა, რომელმაც ხუთშაბათს „თუჯთან“ ხელი იტკინა.*

ირაკლი მაისურაძე: „დღეს დილით ცოტა უკეთესობა ვიგრძენი, მაგრამ ხელს ბოლომდე მაინც ვერ ვშლი, ხოლო ამის გარეშე, მოგეხსენებათ, კალათბურთის თამაში წარმოუდგენელია. ნემსი არასდროს გამიკეთებია, მაგრამ ახლა ვაპირებ და ეგებ სტუ-სთან გამაყუჩებლით ვითამაშო.“

დავით ბერიშვილი, სტუ-ს გამთამაშებელი:

— ახლა ჩვენი გუნდი ლიდერთა შორისაა, მაგრამ მაინც მივიჩნევ, რომ ჩემპიონატის საწყის ეტაპზე ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოვავლინეთ. ახლა კი შედარებით შევთამაშდით და მომავალ მატჩებში სულ სხვა, უფრო მძლავრ სტუ-ს იხილავთ.

*ტექნიკოსები დიდად არ დარდობენ იმის გამო, რომ შესაძლოა, ხვალ მათმა ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა არ ითამაშოს. ის გაციებულია და ექიმების დასტურს ელოდება, რათა მოედანს დაუბრუნდეს. მაინც უნდა მოვიგოთო, გვემავენ სტუ-ელები.*

**ირაკლი პერტაია**

## ავსტრალიის ღია პირველობა 2005

მელბურნი. მაგარსაფარი

# ვინც მოვიდა, გაუმარჯოს

## ჰიუიტმა ავსტრალია ფინალში დააბრუნა



REUTERS მელბურნიდან

**ნახევარფინალი**

**კაცები**

**ლეიტონ ჰიუიტი (3, არგენტინა) — ენდი როდიკი (2, აშშ) 3:6 7:6 (7:3) 7:6 (7:4) 6:1**

„ამ ტურნირისთვის მზადება ექვსი, ცხრა თვის წინაც კი დავიწყე“ — იძახდა გუშინ მოგებული მორიგი შუშპარა მატჩის შემდეგ ლეიტონ ჰიუიტი.

და ალბათ მრავალი დაგვეთანხმება, რომ ამ მზადების ეფექტი ახლა კორტზეა — თუკი აქამდე მას მშობლიურ სლემტურნირზე მეოთხე წრის იქით არასოდეს გაეღწია, კვირას ის უკვე ფინალში იპაექრებს და ეცდება, კონტინენტს 1976 წლის ანუ მარკ ედმონდსონის მიერ ჯონ ნიუკომბის ძლევის მერე მოურეწავი სლემტიტული დაუბრუნოს.

გუშინ ის ამქრის ყველაზე მძლავრად მომწოდებელ ულაყს ეომა, ხვადს, რომელიც — სანამ მეტოქის გაუტეხლობა და უცქაფესი გარჯა იშტას არ გაუქარვებდა — ეისს ეისზე აგრუხუნებდა და ჯამში 31 გამჭოლი მოწოდება მოაქუჩა. მაგრამ, ვაგლახ, რომ ენდი როდიკის მთელი არსენალიც რალმე მხოლოდ ამ აულებელი მოწოდებით შემოიფარგლებოდეს, თორემ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა გუშინ ვერც მისი ქებული ხელწალმები ვიხილეთ და — ცხადია — ვერც სხვა რამ ისეთი, რაიც არც აქამდე გააჩნდა.

მაგრამ თუკი პროცენტებს დავთვლით, ლეიტონს მან ვერც მოწოდებით აჯობა. ჯერ ერთი, 14 ეისი ამანაც დააგროვა, მეორეცაა და თავისი პირველი მოწოდებისას ენდი გათამაშებათა 81 პროცენტს იგებდა (ლეიტონის 83-ის წილ), ხოლო მეორისას — 42-ს (ლეიტონის 47-ის სანაცვლოდ). ვერ ივარგა ამერიკელმა ვერც ბადესთან, სადაც მან 32 ცდიდან მხოლოდ 18-ჯერ (56 პროცენტი) ივარგა, მაშინ როცა ოზბიჭი ბადეს 14-ჯერ მიეჭრა და აქედან 10 შეტევა (71 პროცენტი) დააქულიანა. და, მართალია, ჯამში მომგებიანი დარტყმები 18-ით მეტი მოაქუჩა, მაგრამ იმავდროულად 29-ით მეტჯერაც მიჰქარა.

და აქვე დავსძინოთ ჰიუიტის მენტალურ უპირატესობაზე, რასაც მისთვის აქამდეც ხშირად შეუძლებინებია, უმურდლესი სიტუაციებიდანაც გამომძვრალიყო, ტაქტიკურ დიდოსტატობაზე, რამაც მეტოქის დამთრგუნველი ილაჯის მიუხედავად გუშინ არაჩვეულებრივი კომბინაციები მოაქსოვინა და შესაშურ ფიზმომზადებაზე, რისი წყალობითაც ის კორტზე გუშინაც მაჯლაჯუნასავით დასხმარტალებდა, არადა, გუშინდელ შეხვედრამდე კორტზე როდიკთან შედარებით ზუსტად ორჯერ მეტი ანუ 14 საათი გაეტარებინა.

კარიერის უმთავრესი ოცნებისგან კი ახლა მას მხოლოდ ერთი დღე და ფარაონ ფედერერის დამჩოქებელი მარატ საფინი აშორებს, ღონიერი ვოლგისპირელი ხვადი, ვისთანაც აქამდე ათჯერ უბურთავია და რამდენჯერაც ძლეულა, იმდენჯერვე უძლევია.

„მარატმა ამქრის უძლიერესი მეჩოგნე მოდრიკა და ახლა მართლაც საოცრად კარგად თამაშობს. თუმცა აქ ის ყოველთვის კარგად გამოდიოდა. მის წინააღმდეგ შევეცდები, ყველაფერი კიდევ უფრო უკეთ გავაკეთო, ვიდრე ამას წინა შეხვედრებში ვაკეთებდი. მთავარია, მატჩს ფიზიკურად და ფსიქიკურად სრულ მზადყოფნაში მივატანო“ — დასძენდა ლეიტონი ბოლოს.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ფინალის ანგარიშმიუხედავად ეს, კორტიდან 180 სანტიმეტრის ამთვლელი ჩაუქი ბიჭი რეიტინგსიაში მესამიდან მეორე ადგილამდე აინაცვლებს და იმავ ენდი როდიკს ჩაეროქება.

და კიდევ — ბოლო ავსტრალიელი, ვინაც იქაურ ფინალში ითამაშა, პატ კეში იყო. 1988 წელს ის შვედმა მატს ვილანდერმა დაჩოგნა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს რიგით მეასე ავსტრალიობაა, ეგებ...

თუმცა არც იმის დავიწყება ეგების, რომ გუშინწინ გაოცდახუთწლისებული მარატ საფინი, რომელიც ფედერერის ნამწვრთნელარ პიტერ ლუნდგრენის ხელში საოცრად დამშვიდებული და გაწონასწორებული გახდა, ხვალ თავის მესამე მელბურნულ ფინალში ითამაშებს.

---

**წყვილები**

**ფინალი**

**ქალები**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი), ალიშა მოლიკი (ავსტრალია) — ლინდსი დევენპორტი, კორინა მორარიუ (აშშ) 6:3, 6:4**

**ავსტრალიელთა** 24 წლის ქალიმედი ალიშა მოლიკი, რომელმაც ერთეულად მეოთხედფინალამდე მიატანა და იქ უდაძაბულეს შეხლაში პირველოსან ლინდსი დევენპორტისგან იძლია, უტიტულოდ მაინც არ დარჩა. საამტურნიროდ ის პირველად შეეწყვილა შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებულ რუს სვეტლანა კუზნეცოვას და გუშინდელ საწყვილოსნო ფინალში მასთან ერთად 56 წუთში აჯობა დევენპორტისა და მორარიუს შებერებულ ამერიკულ ჯუფთს. ცხადია, ალიშასთვის ამ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ იმის გამო ეძლევა, რომ ის დევენპორტთან ჭიდილშიც იქნა მიღწეული. გული ამით მაინც მოვიოხეო, ასე იძახდა ნაფინალევს ქალთა ამქრის ყველაზე სწრაფად პროგრესირებადი ზორბა ოზგოგო.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მელბურნიდან

სვეტლანა კუზნეცოვა და ალიშა მოლიკი



## სახალისო ჭადრაკი

# სალაღობო ამბები მეორე ჩემპიონის ცხოვრებიდან




ემანუილ ლასკერი 24.12.1868 — 11.01.1941

### ჯადოსნური კვერცხები

1924 წელს მოჭადრაკეთა ჯგუფი ნიუ იორკის ტურნირში მონაწილეობისთვის გემით გაემგზავრა ამერიკაში. ლასკერს მეუღლე ფრაუ მარტა ახლდა, ვინაც მოგზაურობისას ქმარი ტანისამოსის გარდა წიგნებით და შინაური პროდუქტებით მოამარაგა. პროდუქტთა შორის ლასკერების საკუთარი ფერმის მოხარშული კვერცხებიც იყო. პედანტ ფრაუ მარტას თითოეულ კვერცხზე ფანქრით ჰქონდა მიწერილი თარიღი, რომელ დღესაც ემანუილ ლასკერს ის კვერცხი უნდა ეჭამა. თარიღის ქვემოთ სასარგებლო რჩევას თუ დავალებასაც აწერდა. მაგალითად, ლასკერი საუზმეზე აიღებდა კვერცხს და სანამ გაფცქვნიდა, ნაჭუჭზე კითხულობდა: „დღეს პერანგი სამრეცხაოში უნდა ჩააბარო“. თუ კვერცხი ვახშმისთვის იყო განკუთვნილი, შესაძლოა, ასეთი რამ წერებულიყო: „დღეს მეტი სიგარეტი აღარ მოწიო“.

### აღზრდა

განთქმული ფსიქოთერაპევტის ზიგმუნდ ფროიდის ეკონომისტი ქალი პაულა ფიხტლი იხსენებდა: „ერთხელ ჩვენთან სტუმრად დოქტორი ლასკერი მოვიდა. მე ის მაშინვე მომეწონა, რადგან ყავა რომ მივართვი, მხოლოდ ერთი კოვზი შაქარი ჩაიყარა და ის კოვზიც ბოლომდე არ გაუვსია — ამითაც ეტყობოდა, რომ კარგად აღზრდილი ადამიანი იყო“.

### ლაზიერის მსხვერპლი

მატარებლის კუპეში ლასკერთან მავანი მოყვარული მოხვდა და ისე, რომ არ იცოდა მეზობელი ვინ იყო, ლასკერს დროის გასაყვანად ჭადრაკის თამაში შესთავაზა. ლასკერს დასვენება უნდოდა და უარი უთხრა, ფიგურების გადაადგილების თავიც არ მაქვსო. მოყვარული მოჭადრაკე არ მოეშვა და ოღონდ დაეყოლიებინა, ლასკერს შესთავაზა, ლაზიერის გარეშე გეთამაშებიო. ლასკერი მიხვდა, რომ მეზობელი არ მოეშვებოდა, თამაშს დათანხმდა და სწრაფადაც მოაგებინა. მაგრამ მეზობელი მაინც არ მოეშვა და კიდევ ერთი პარტია შესთავაზა.

„კეთილი, ვითამაშოთ. ოღონდ ამჯერად მე ვითამაშებ ულაზიეროდ“ — უთხრა მეზობლის გაბითურების ხასიათზე დამდგარმა ჩემპიონმა.

ლასკერმა, რა თქმა უნდა, მოიგო. მეზობელი გაოგნებული დარჩა და კიდევ ერთხელ დაალაგა ფიგურები, ამჯერად ულაზიეროდ ისევ ის თამაშობდა.

ლასკერმა მოაგებინა, მომდევნო პარტიაში კი თავად ითამაშა ულაზიეროდ და დაამარცხა. ასე გაგრძელდა რამდენჯერმე.

ბოლოს ლასკერმა სერიოზული იერით, ვითომ ისიც გაოგნებული იყო, წამოიძახა: „მივხვდი, ლაზიერი ხელებში გვებლანდება და თამაშს გვიშლის, ამიერიდან მხოლოდ ულაზიეროდ ვითამაშებ“.

მეზობელი კუპედან გავარდა და მატარებლიდანაც ნაადრევად ჩავიდა.

### ჩემი მისამართია...

პარიზში ჩასული ლასკერი იმ სასტუმროში დაბინავდა, რომელიც ლონდონელმა მეგობარმა ურჩია. დაბინავებისთანავე ბარგი დატოვა და კაფე „რეჟანსში“ წავიდა, სადაც მთელი სალამო გაატარა.

ნაშუაღამევს ლასკერმა აღმოაჩინა, რომ ოტელის სახელი და მისამართი დავიწყებოდა. რა ექნა, ღამე ნაცნობთან გაათია, დილას კი ლონდონელ მეგობართან დეპეშა აფრინა, ჩემი პარიზული მისამართი მომწერეო.

სანამ ლონდონიდან პასუხი მოუვიდოდა, ლასკერმა პარიზის რუკა იყიდა, ქუჩების სახელების კითხვა დაიწყო და ერთ-ერთი ქუჩის ამოკითხვისას გაახსენდა, რომ სწორედ იმ ქუჩაზე იყო მისი სასტუმრო.

სასტუმროში მისულს ლონდონელი მეგობრის დეპეშა დახვდა: ემანუილ ლასკერს. პარიზი, ლატურის ქუჩა 12. თქვენი მისამართია პარიზი, ლატურის ქუჩა 12. დაბნეულობის გამო ლასკერმა დეპეშა უკანა მისამართის მითითების გარეშე გააგზავნა და კეთილსინდისიერმა ინგლისელმა მეგობარმა, დავიწყებული მისამართი დავიწყებულსავე მისამართზე გაუგზავნა.

**არტემ გეშაძოვი**

# ვარჯიში



ამერიკის დიდი პრიზისთვის ყოველი ჟოკეი თავისებურად ემზადება. ჟოკეი კრისტოფ გალიეს ლინჟრევილის პლიაჟი აურჩევია და ცხენს სველი ქვიშის სიმძიმეს აჩვევს.

# არტიკა




ინდონეზიის დიდი საფორმულე პრიზი, ცხადია, სეპანგის ტრასაზე უნდა გაიმართოს. ჯერ კი იქ სულ სხვა ვინმე ჩანს. მის ინდონეზია არტიკა ცერს გვიჩვენებს, ყველაფერი კარგად არისო. არტიკა წლევანდელი სეპანგური ფორმულის ელჩადაა დანიშნული.

# ერთობა

ავსტრალიაში დიდი ჩოგბურთია, ქალთა შორის ოდინდელი პირველი ნომერი მარტინა ჰინგისი კი ბანგკოკს ჩაფრენილა. ტაილანდში, პატაიას საკურორტო ალაგას „ვოლვოს" ქალთა შეჯიბრი იმართება და მარტინაც იქ ითამაშებს. ერთობა, რა.



REUTERS ბანგკოკიდან

# ახალი ცეკვები



REUTERS ტურინიდან



ტურინში სპორტული ცეკვების ჯერი დადგა. დიდად სატკბობი სანახაობაა. ფრანგული წყვილი — იზაბელ დელობელი და ოლივიე შონფილდერი — უფრო ილეთიანობით ირჯებოდა, რუსული კი — ტატიანა ნავკა-რომან კოსტომაროვი —გრაციოზულობით. ევროპის ჩემპიონატი კი „პალაველას" დარბაზში მიმდინარეობს და მაყურებელიც ბლომად ჰყავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge